საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 13 ივნისი. 2018 წ. №122 (8523), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ასე რამ გაალარიბა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილისა და პრემია-დანამატებით გაფულფულებულ ჩინოვნიკთა ქვეყანა?

სიღარიბის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა!

გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) საქართველოში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ კვლევა წარადგინა.

მონაცემების მიხედვით, სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში 2015 წელთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია – 2017 წელს მოსახლეობის 5% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, 2015 წელს კი ეს მონაცემები 2.1%-ს შეადგენდა.

კვლევის მიხედვით, 2017 წელს ბავშვების 6.8% საქართველოში უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ხოლო 2015 წელს – მხოლოდ 2.5%.

კვლევის მიხედვით, 2017 წელს პენსიონერების 3.7% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ხოლო 2015 წელს – 1.7%

„2015 წელთან შედარებით, 2017 წელი აჩვენებს, რომ მოსახლეობაში გაზრდილია სიღარიბის საერთო მაჩვენებელი. კვლევამ აჩვენა, რომ გვაქვს სტრუქტურული პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, განათლების თვალსაზრისით და ამ ყველაფერს თანამიმდევრული და დიდი რეფორმები სჭირდება,“ – განაცხადა ფონდ UNICEF-ის წარმომადგენელმა თინათინ ბაუმმა.

„შიმშილისგან გასავათებულმა ოცნებამ“ გუშინ უხმაურო შეკრება გამართა...

„ქართული ოცნების“ ოფისში გუშინ უმრავლესობის სხდომა გაიმართა. როგორც ჟურნალისტებს სხდომის დასრულების შემდეგ უმრავლესობის დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ განუცხადა, საუბარი არ ყოფილა სამთავრობო ცვლილებებზე. მისი თქმით, მსჯელობა მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგებზე, სიღარიბის დაძლევის პრობლემებზე...

„ჩვენ ვიმსჯელეთ გაეროს ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგებზე. ამასთან დაკავშირებით იყო განხილული მთელი რიგი საკითხები. ჩვენი თანამოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი დგას იმ პრობლემების წინაშე, რაშიც მთავრობის მოქმედების კონკრეტული გეგმაა საჭირო. ჩვენც ველოდებით კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ხელისუფლებისგან.

„უმრავლესობის სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ ყველა მიმდინარე საკითხი, რაც ქვეყანაში წინა პლანზეა წამოწეული. რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებების საკითხს, არ ყოფილა დღის წესრიგში. შესაძლოა, ზოგიერთ დეპუტატს აქვს მოსაზრება ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ მე დაბეჯითებით გეუბნებით, რომ ამ საკითხის განხილვა არ ყოფილა“, – აღნიშნა თალაკვაძემ. გუშინ მთელი დღის განმავლობაში მედიით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და 4 მინისტრი გადადგებოდა.

ნუგზარ ფოფხაძე:

უშველის კი ამ ქვეყანას კიდევ ორი ფსიქიატრიული კლინიკის აშენება?

③

გია გაბრიჭიძე:

გამარჯვებული ბოკერია და დამარცხებული საქართველო

⑤

ოთარ ჩიხლაძე:

ხიდი – რუსთველის სახელობისა

④

სტიქია

წაქცეულია ხეები, დატბორილია ქუჩები და ავტომობილები

თბილისში ძლიერი წვიმის გამო, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსიდან მოსახლეობის ევაკუაციაც კი გახდა საჭირო. ამაშუკელის 22 ნომერში წყალმა კორპუსის საძირკველი დააზიანა.

ძლიერმა ნალექმა განსაკუთრებით გლდანი-ნაძალადევის რაიონი დააზარალა. გლდანთან დამაკავშირებელი გზის ჩანგრევის გამო გარე სამყაროს არის ამ დრომდე მოწყვეტილი სოფელი გიორგიწმინდა. ვარკეთილში კი წვიმის შედეგად რამდენიმე ხე წაიქცა, რამაც გზა ჩახერგა. მანქანებიდან მოქალაქეების ევაკუაციას საპატრულო პოლიცია ახორციელებდა.

ღამის განმავლობაში სამაშველო სამსახურში 153 შეტყობინება შევიდა. უხვი ნალექის მოსვლისთანავე ავტომობილების მოძრაობა ტრადიციულად აიკრძალა ე.წ ახალ გზაზე. ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების კვეთაზე. უნივერსიტეტის ქუჩაზე ჩარჩენილი მანქანების ადგილიდან გაყვანას კი სამაშველო ჯგუფები ცდილობდნენ.

პარიზმა ნალექის რაოდენობით 1960 წლის რეკორდი გაიმეორა

სულ ცოტა 78 მილიმეტრი ნალექი მოვიდა პარიზში დღე-ღამის განმავლობაში, რითიც 1960 წლის რეკორდი დამყარდა. იუწყება „France Info“.

მეტეოროლოგიური სამსახურის წარმომადგენლის თქმით, **„ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია საბოლოო მონაცემები, თუმცა პარიზის მეტეოროლოგიურ სადგურზე დაყრდნობით, დაფიქსირდა 78 მილიმეტრი ნალექი 24 საათის განმავლობაში, რაც რეკორდია ივნისის თვისთვის. წინა რეკორდი მსგავსი მაჩვენებლით დაფიქსირებული იყო 1960 წელს 58 მილიმეტრი“,** – აცხადებს მეტეოროლოგი.

აღსანიშნავია, რომ პარიზში უამინდობა უკვე რამდენიმე დღეა, გრძელდება, რამაც ელექტრომატარებლის ავარია გამოიწვია. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა, როცა უამინდობის გამო მატარებელი რელსებიდან გადავიდა პარიზთან ახლოს მდებარე ქალაქში, რა დროსაც შვიდმა ადამიანმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

ყოჩაღ, ქართველო პედერასტებო!

საქართველო ევროპის იმ ქვეყნებს შორის მოხვდა, სადაც ლგბტ თემის მიმართ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ.

rainbow-europe.org-ის მონაცემების მიხედვით, რეიტინგში საქართველოს 25.87% აქვს მინიჭებული და ამ მაჩვენებლით, ის სიაში 33-ე, დამაკმაყოფილებელ პოზიციაზეა.

რეიტინგის სათავეშია მალტა (91.04%), მეორე ადგილზეა ბელგია (78.76%), მას მოსდევს ნორვეგია (77.74%), შემდეგ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო (73.48%), ხოლო მეხუთე ადგილს იკავებს ფინეთი (73.27%). ლგბტ თემის მიმართ ყველაზე არამეგობრული ქვეყანა აზერბაიჯანია (4.70%), შემდეგია სომხეთი (7.20%), შემდეგ პოზიციას იკავებს თურქეთი (8.60), თურქეთზე ოდნავ უკეთესი შედეგი აქვს მონაკოს (9.76), მას მოსდევს რუსეთი (10.90%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეზობლებს შორის ყველაზე კარგი შედეგი აქვს. ის ასევე უსწრებს ბულგარეთს, რუმინეთს, უკრაინას, ლიეტუვას, პოლონეთს, ლატვიას, მოლდოვას, ბელარუსს, ლიხტენშტეინსა და სან მარინოს.

ესპანეთის მეფის სიძეს პატიმრობა მიუსაჯეს

ესპანეთის მეფის, ფელიპეს სიძეს ინიაკი ურდანგარინის ესპანეთის სასამართლომ ხუთი წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას თაღლითობა და გადასახადებისგან თავის არიდება ედება ბრალად. სასამართლომ ის საზოგადოებრივი ფონდებიდან რამდენიმე მილიონი ევროს არამიზნობრივად გახარჯვასა და საგადასახადო მაქინაციებში დამნაშავედ სცნო.

ესპანეთის მეფის დის ქმარი ინიაკი ურდანგარინი თავისი ფირმის საშუალებით იმ ღონისძიებების ჰონორარებს ითვისებდა, რომლებიც საერთოდ არ ტარდებოდა. კორუფციულ საქმეში ბრალდებული იყო მეფე ფელიპეს და, კრისტინაც, სასამართლომ ის გაამართლა და მხოლოდ ჯარიმა დააკისრა. ურდანგარინი პატიმრობას თავს იმ შემთხვევაში აარიდებს, თუ მას საკონსტიტუციო სასამართლო შეიწყალებს.

ახალგორის რაიონში საბავშვო ბაღებიდან რუსული და ოსური ენების არმცოდნე ყველა თანამშრომელი გაათავისუფლეს

ახალგორის რაიონში საბავშვო ბაღებიდან გაათავისუფლეს ყველა თანამშრომელი, რომელიც რუსულ და ოსურ ენებს არ ფლობს. ქართულმა მოსახლეობამ ეს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის მორიგ გამოვლინებად აღიქვა, თუმცა პრობლემა ადგილობრივ ოსებსაც შეეხოთ და მეტიც, როგორც ირკვევა, უმუშევრად დატოვებულებს შორის რაოდენობრივად ქართველებს ოსები აჭარბებენ.

7 ივნისს დაბა ახალგორში საზეიმოდ გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი. ორი ძველის ნაცვლად აშენებული ახალი დაწესებულება, რომელიც 100 ბავშვზეა გათვლილი, 4 ჯგუფად დაყოფილ სულ 60 აღსაზრდელს მოემსახურება.

გახსნის ცერემონიაში ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა და „სამხრეთ ოსეთში რუსეთის ელჩმა“ მარატ კულახმეტოვმაც მიიღეს მონაწილეობა.

„სოციალურად მნიშვნელოვანი ეს ობიექტი მყარ დასაყრდენად იქცევა რაიონის მაცხოვრებლებისა და რუსი სამხედროების ოჯახებისთვის“, — განაცხადა გახსნის ცერემონიაზე ბიბილოვმა.

ღონისძიებაზე არაფერი უთქვამთ იმაზე, რომ ორი ძველი საბავშვო ბაღის თითქმის მთელი პერსონალი — **ყველა, ვინც რუსულ და ოსურ ენებს არ ფლობდა, უმუშევრად დატოვეს. თანაც, თუ ადგილობრივი სკოლების პედაგოგებს მხოლოდ რუსული ენის ცოდნა მოეთხოვებათ, რის ხარჯზეც მასწავლებლებად თავისუფლად იწყებენ მუშაობას რუსი სამხედროების ცოლები, საბავშვო ბაღში მოსაწყობად, თუნდაც დამლაგებლის პოზიციაზე, ამიერიდან როგორც რუსულის, ისე ოსურის ცოდნაა სავალდებულო,** — ასეთია ხელმძღვანელობის მიერ წაყენებული მკაცრი პირობა.

ძველი თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ უამრავი ვაკანსია გაჩნდა, თუმცა ხელმძღვანელობა ამ საკითხში პრინციპულ პოზიციას იკავებს, — ყვება ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი. მისი მონაცემებით, უსამსახუროდ დარჩენილთა შორის მეტი ოსია, ვიდრე ქართველი.

„ეს ის ოსები არიან, რომლებიც აქ ჯერ კიდევ ომამდე ცხოვრობდნენ და მშობლიური ენის შესასწავლად პირობები არ ჰქონდათ შექმნილი, ომის შემდეგ კი საერთოდაც არ იყო შესაძლებლობა, მშობლიური ენა თუნდაც საყოფაცხოვრებო დონეზე შეესწავლათ. აქაური ხელისუფლების მხრიდან მცდელობაც კი არ ყოფილა, გაეხსნათ რაღაც კურსები, სექცია თუ კლასი ზრდასრულთათვის ოსური ან რუსული ენების შესასწავლად. ამ მხრივ ერთადერთი შესაძლებლობა სადღეისოდ საშუალო სკოლაში სწავლაა. არსებობს კიდევ ბავშვთა ხელოვნების სახლში მოქმედი ოსური ენის წრე — ის მე გავხსენი ომის დასრულებისთანავე, როდესაც იქ დირექტორად ვმუშაობდი. უკვე 10 წელია, ეს წრე მოქმედებს, თუმცა ისიც, სკოლის მსგავსად, მხოლოდ ბავშვებისთვისაა. სამხრეთ ოსეთში ძალიან ბევრს საუბრობენ ლენინგორელი „ახალგორელი“ ოსებისა და ზოგადად რაიონის მთლიან რესპუბლიკაში ინტეგრირების შესახებ, თუმცა ამ კუთხით რეალურად არაფერი კეთდება. ზრდასრულთათვის მშობლიური ენის სწავლების მხრივ არსებული მდგომარეობა ამის დასტურია. თავის დროზე ოსური ენის რეპეტიტორს ვეძებდი ჩემი ქალიშვილისთვის. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩვენს დაბაში ვერ მოიძებნებიან პედაგოგები, რომლებიც ფლობენ სწავლების მეთოდიკას ოსური ენის თუნდაც საყოფაცხოვრებო დონეზე სასწავლებლად“ — ჰყვება თამარი.

სამოქალაქო აქტივისტი ამ პრობლემის მოგვარების თხოვნით არაერთ უწყებას დაუკავშირდა, თუმცა ყველგან განუცხადეს, რომ უსახსრობის გამო ვერაფრით დაეხმარებოდნენ.

რაც შეეხება სამსახურის გარეშე დატოვებულ ქართველებს, როგორც მეარაყიშვილი ამბობს, **„ეს ის ხალხია, რომელიც 10 წლის წინ საქართველოში არ გაიქცა, თავისთვის იქით მიმავალი გზა თითქოს ჩაიკეტა და აქ არჩია ცხოვრება“.**

ამასთან, როგორც ახალგორელი აქტივისტი აღნიშნავს, ადგილობრივი საბავშვო ბაღი პირველი აღმზრდელობითი დაწესებულება იყო, რომელსაც 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაფინანსება შეუწყვიტა:

„მათ შესთავაზეს არჩევანი: ან წეროვანში წასულიყვნენ სამუშაოდ, ან ლენინგორში (ახალგორში) დარჩენილიყვნენ უხელფასოდ. მას შემდეგ ამ ადამიანებს, სკოლის პედაგოგებისგან განსხვავებით, ქართული ხელფასი არ მიუღიათ. არადა, რაიონში არსებული რუსული სკოლა, მაგალითად, ოსურთან ერთად დამატებით ქართულ ხელფასსაც იღებს. რაიონში პირველი ხელფასები ცხინვალმა მხოლოდ 2008 წლის დეკემბერში დაარიგა, შესაბამისად, ხალხი აქ მეტი შემოსავლის მისაღებად არ დარჩენილა, უბრალოდ მთელი გულით სურდათ, თავის სამსახურებში, თავის სახლებში დარჩენილიყვნენ და სახელმწიფომ ისინი სარჩოს გარეშე დატოვა“.

ვაკანტური თანამდებობები ამჟამად ოსურენოვანი სოფლებიდან — წინაგარიდან, ორჭოსანიდან და სხვებიდან ჩამოსული კადრებით ივსება. ასეთია ახალი დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დისკრიმინაციად აფასებს: მათ მიანიშნებენ, რომ იქ ზედმეტები არიან და კარისკენ, უფრო ზუსტად კი „რაზდახანის“ გამშვები პუნქტისკენ მიუთითებენ.

„აქცენტი“

საქართველოში მეთევზეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წინსვლა გვექნება!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) ხმელთაშუაზღვისპირეთის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) აღმასრულებელ მდივანს აბდელა სროურს შეხვდა.

„მინდა მადლობა გადაგიხადოთ თანამშრომლობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მეთევზეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, საქართველო მიიღებს ტექნიკურ დახმარებას შავ ზღვაზე მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო სპეციალური მოწყობილობების სახით. ჩვენ ვაფასებთ თქვენს მხარდაჭერას. ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მეთევზეობის მიმართულებით ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია. ვფიქრობ, თქვენთან თანამშრომლობით საქართველოში მეთევზეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წინსვლა გვექნება“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

შეხვედრაზე მინისტრმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში აკვაკულტურის განვითარებისთვის არსებულ საჭიროებებზე და ყურადღება სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მეთევზეობის სექტორში მონაცემთა სისტემის შექმნის საჭიროებაზე, შავ ზღვაზე მონიტორინგის სისტემისა და კონტროლის გაძლიერების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

როგორც GFCM-ის აღმასრულებელმა მდივანმა აბდელა სროურმა განაცხადა, საქართველოს მეთევზეობის სექტორს განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია და მინისტრს შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე ესწრებოდა.

საქართველოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO) შორის, 2018 წლის დასაწყისში გაფორმდა შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც, საქართველოში მეთევზეობის სექტორისა და აკვაკულტურის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები განხორციელდება.

УШВЕЛИС КИ АМ ЕВЕЧАНАС КИДЕВ ОРИ ПСИХИАТРИУЛИ КЛИНИКИС АШЕНЕБА?

ИМДРОИНДЕЛИ, ивитом мШримелта интерисебис дамцвели организациис лидериС ЗвариГадасули авиоБит гаБезребулма дидма гоитем, ертхел, турме, нахвридхумриБит икитха: рас мерчис ес каци, ме хом миствис сикете ар гамикетебиао?

ЗОда, тО ам веебертела, гениалур адамианс Учирда ПровокаторисА ЗедоБис гамо дабадебули шекитхвазе пасухис гацема, ме ратом гамиадвилдеба?

ам шекитхвис гарда, дгевандели реалоба кидев бевр китхвис ниШанс свамс, маграм ерти матгани симцвавит да гулистКивилит гамирчеулиа: саидан да родис ан рогор дагровда амдени боЗма, Шулли, Шури, тавхедоба, уЗрделоба, приМитивизми, карИериЗми, умадурОба, политикури проСтитуция да елементарули коРуфция картул политикур-саЗогадоебриВ сивРцеШи?

рогор дабинДурда ес сивРце асе умоцЗалоД?

дидИ хания, уфросИ таОбис политикосебис умравлесоба ацар арис ам квеЗнад, матИ Швилебис таОбац, мгонИ, укве, ветеранебис коХорТас миеКутвнеба, цамовида ахалгазрда политикостА сРулиад ахали генерация, маграм... тИтКмис арафери шецвлила емоциаШи, термИноЛогиаШи, метКвелебаШи... ертадертИ, ЗерЗ кидев ар ИсмИс аЗитиребули ЗгуфебИс мКухарЗ шедахили: „Згос!..“ „Згос!..“ „Згос!..“ истерИка кИ, иЗоцхЛе, игивЗ да рамдениц гИндА...

анУ игивЗ, рАц иЗо 30 цлис цинАт...

анУ игивЗ, рАц иЗо 20 цлис цинАт...

анУ игивЗ, рАц иЗо 5-6 цлис цинАт...

ам мхрив поЗитивис дефициТи аШкараа, адгилЗе ветКепнит миЦас... етКЗоба, ар арис сакмарИси ам сивРцис гаЗгАнсАлебИствИс УцхоУри диПломебит тУ сертИфикатебит кеКлУцоба. ерма, фартО гАнатлебаа сачирО, истОриИс цодна, сХвАта гамоцдилебИс шесцавла, дадебитис гАзиарЕба да гамоЗенеба.

да кидев ерти, рац асе аШкарад аКтуалурИа дгевс: сулмнАти акАкис сИбрИдне — маграм мартО цвртна веРаферс иЗамс, тУ бунебам ар УШвелаО...

аба, сХвАнаирад рит аИхснеба ис саШинелеба, роца телеекрани, радиОетери да демонстрация-мИтингебИ цалеКа УЗомО лАнКдвам, аКамде арнахул-АрГаГонилма саЗарО билцсИтКвАОбам, конкретули мИсамартебит гасролилма УШверма гИнебам, патолоГиурма даУнДОблОбам, анГариШсцоребис моцодебебма... амас мхолОд УкулТурОба ар ЗКвИа. мИсИ сахелиа сибрИКве!

гАнсакУтребит шемашфотебелиа, рОм ам сАвалало фонзе, чвенс твалцин ГИад, ашкарад да гамИзнулад мИмдинАреОбс сахелмцифО институтебис АРа мартО диСкредитациис прОцесИ, АрамЕд матИ реалурИ мОралурИ гАнИарАГебА да шантаЗи.

ашкарад гамоиквета ВитарЕба, роца АГарц арис дафарули политикурИ ревАнсис цКурвилит гаЗГенТилИ прОцесИ, ромелсацА пИрОбитад шеИКлебА еЗодос „мцОцавИ конТрреволУция“. сакартвелОс АР УнДа сЗирдебодес имис шехсенеба, тУ рИти мтавРдебА конститУциурИ чарчОебИдан гасули ан небисмиерИ КалАдобрИви зомОКмедебис шедегад мОмхдАрИ е.ц. „гадатрИалеба“.

илУзИа, рОм ам ЗидилШи ВинмЕ гаимарЗвебс, шеИКлебА ЗКонДет мхолОд миамИТ мОкалакебс да... политикур идиОТебс.

бевр нОрмалур адамианс, ромелИц шешфотебит елодебодА ультимАТумит даанонсебул 10 ивнисс, албАт, гули УГрдНобда, рОм небисмиерИ политикурИ прОвокация аЗгомс „рАцац“ мЕсамЕ КалАс, рОмлис мхардамчерад шесакЕлА (да ес сРулиад реалурИа), мОгвевлинос „ис“, ВинЦ тбилисидан 40 килОмЕТрзе, мавТулхлАрТс ИКитаа дабанакебули...

еЗ, рОгорц АКлИа КвеЗнАна АРа мартО дидИ авлИзИ зурабИшвилИ, рОмелсацА шеКлО „дааВадебулИ“ ерИсТвис пИрШИ мИеХАлА хИстИ шефасебасИмартлЕ, АрамЕд гениалурИ чабуА амИрЕзИбИ, тавИсИ брКнулИ шеКахилИТ: чкуИТ, КартвелебО!!!



ნუგზარ ფოფხაძე

ეს რა „სიბრძნე“ მოგიჩმახავს, შალიკო, უბედურო!..

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი მოუწოდებს დასავლეთს, გაყინოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის საბანკო ანგარიშები.

ნათელაშვილი საერთო-სახალხო საპროტესტო მოძრაობის დაწყებას აანონსებს. მისი თქმით, მიმდინარე აქციებს უნდა მიეცეს პოლიტიკური მსვლელობა.

„რეჟიმმა არ იკმარა ახალგაზრდების ჩახოცვა და უკვე გადავიდა შვილმოკლული მამების დარბევაზე, ოპოზიციის წინააღმდეგ აღვირახსნილ რეპრესიებზე.

ჩვენმა ხალხმა ამას უნდა უპასუხოს გაერთიანებით, მედგარი ბრძოლით. დასაწყებია საყოველთაო სახალხო საპროტესტო მოძრაობა, რომელმაც უნდა მიგვიყვანს რეჟიმის შეცვლამდე, პარლამენტის თვითლიკვიდაციამდე, ახალი არჩევნების ჩატარებამდე. ვიწყებთ კონსულტაციებს ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან.

მოვუწოდებთ დემოკრატიულ სამყაროს, გაყინონ მსოფლიო ბანკებში ივანიშვილის კრიმინალური და მეტწილად ჩვენგან წართმეული მილიონები.

პროცესს უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი — უნდა დავამთავროთ პოლიტიკური ჰერმაფროდიტიზმი,“ — განაცხადა ნათელაშვილმა.

გაისად პენსიაც გაიზრდება და საპენსიო რეფორმაც მზად იქნება

საპენსიო რეფორმის პირველადი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მზადაა. ასევე მთავრობაც მზადაა, რომ დღეს არსებული საბაზისო პენსიაც გაზარდოს და პარალელურად საბოლოო ნაბიჯები გადადგას რეფორმის განხორციელებისათვის. ოპოზიცია ჯერჯერობით მკაცრი ოპონირების რეჟიმშია.

საპენსიო რეფორმის რეგულირების გავლენის დოკუმენტი მზადაა და ის დღის სინათლეს მომავალ კვირას იხილავს. პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი აკაკი ზოიძე ამბობს, რომ ის ეკონომიკის სამინისტრომ მოამზადა. ამ დოკუმენტის თანახმად შესაძლებელი გახდება მსჯელება, თუ რა შეიძლება იყოს რეფორმით მიღებული სარგებელი ან ხარჯები ციფრებში.

„საბაზისო პენსიის კომპონენტი არის საპენსიო რეფორმის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის ეხება როგორც დღევანდელ, ასევე მომავალ პენსიონერებს. ამ მიმართულებით ჩვენ უმრავლესობის ფორმატში გვქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრა და ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრეებთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საბაზისო პენსია საშუალო ხელფასს მიებმება. ის ჩანაცვლების კოეფიციენტზე იქნება დამოკიდებული, რომელიც უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ იმ დონეზე, რომელიც დღეს არის, მიუხედავად იმისა, ინფლაცია იქნება, ეკონომიკური ზრდა, თუ ა.შ.

მე ვემხრობი ამ რეფორმას, რადგან მას სხვა ალტერნატივა, რომ ადამიანები უზრუნველვყოთ ღირსეული პენსიით, არა აქვს. მიმაჩნია, რომ, როდესაც ადამიანი იშრომებს წლების განმავლობაში, მას თავისი ხელფასის, სტაჟის ოდენობის მიხედვით უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ცხოვრების დონე სიბერეში“, — განაცხადა ზოიძემ და დასძინა, რომ შეხვედრაზე განხილული იყო მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რაზეც მსჯელობა კვლავ გაგრძელდება.

„ნებაყოფლობითობის კომპონენტი იქნა შენარჩუნებული თვითდასაქმებულების და 40 წელზე მეტი ასაკის ადამიანებისათვის. თუ მათ აქვთ სურვილი, სახელმწიფო ხელს შეუწყობს და შესაბამის კონტრიბუციას შეიტანს მათთვის საპენსიო ფონდში, რათა წახალისდნენ თვითდასაქმებულები და მათ შორის უმუშევრებიც. საუბარი იყო კერძო სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობაზე, რაზეც გაგრძელდება მსჯელობა და ამაზეც შევჯერდებით“, — განუცხადა „საქმის კურსს“ ზოიძემ.

ოპოზიცია, როგორც ყველა წამოწყებას, ამასაც ეჭვის თვალით უყურებს. „ევროპული საქართველოს“ წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი ამბობს, რომ პარტია საპენსიო რეფორმას მხარს არ დაუჭერს.

„ჩვენ ამ რეფორმას მხარს არ დავუჭერთ, თუ დარჩება სავალდებულობის კომპონენტი. ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ადამიანმა თავად უნდა განსაზღვროს, შემოსავალი დღეს მოიხმაროს თუ გადადოს ხვალინდელი დღისთვის. აქ მთავარი პრობლემა ის არის, რომ შემოსავლებია დაბალი და ხალხს არ ჰყოფნის ფული და ამ დროს მთავრობა ეუბნება მათ, რომ ჩვენ კიდევ უნდა წაგართვათ ის საპენსიო გადასახადის სახით. აქედან გამომდინარე, ჩვენ წინააღმდეგები ვართ.

და ყველაზე მთავარი — მთავრობა, გარდა იმისა, რომ აძალებს მოქალაქეებს ამ თანხის გადადებას, ვერ ეუბნება კონკრეტულ რიცხვს: მაგალითად, დღეს, ვთქვათ მასწავლებელს, რომელიც 30-35 წლისაა და 450 ლარი აქვს ხელფასი, რა იქნება მისი პენსია? სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფების დათვლით იმდენად მიზერული გამოდის, რომ ეს დანაზოგი არ იქნება საკმარისი ღირსეული სიბერისთვის“, — განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და დასძინა, რომ მთავრობამ არსებულ პენსიონერებზეც უნდა იზრუნოს და პენსია გაზარდოს, რისი რესურსიც არსებობს.

„დღევანდელი პენსია თუ არ გაიზარდა, ინფლაციის პირობებში, სერიოზული პრობლემა იქნება. ამიტომ ჩვენ მთავრობას ვეუბნებით, რომ მთავარი ამოცანა უნდა იყოს მაღალი ეკონომიკური ზრდის დონის მიღწევა, რომ გაიზარდოს დასაქმებულთა ხელფასიც და პენსიაც“, — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

პენსიების ზრდის შესახებ პარლამენტში უკვე ისაუბრა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ. მისი ინფორმაციით, **ფინანსთა სამინისტროს პარლამენტში წარდგენილი აქვს 2019-20 წლების საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზები, სადაც გათვალისწინებულია პენსიების მატება როგორც 2019 წელს, ასევე 2020-შიც. საუბარია 20-20 ლარით მატებაზე. აქედან გამომდინარე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პენსია საქართველოში 220 ლარს მიაღწევს.**

გეძა დანელია

ხიდი – რუსთველის სახელობისა

გახსოვთ, ლეგენდარულ კინოფილმ „მიმინოდან“ „ტუ-144“-ელი ვალიკო მიზანდარი შეცდომით როგორ დააკავშირეს თელავის ნაცვლად თელ-ავივში მცხოვრებ ქართველ ებრაელთან და ის დიდი ინტერესი, რასაც ქუთაისს მონატრებული იჩენდა მდინარე რიონზე ახალი ხიდის მშენებლობის მიმართ...

ამ ხიდისთვის, რომელიც ამჟამად უკვე 52 წლისაა, არავის გადაუხდია ნახევარსაუკუნოვანი „იუბილე“, არადა, რადგან უკვე შოთა რუსთველის სახელს ატარებს და კარგა ხანია, აღასრულებს მის ანდერძს – „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“, გადავწყვიტეთ, მისი „მოგონების“ შესახსენებლად სიტყვა მიგვეცა ამ ხიდის მშენებლობის ხელმძღვანელის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ბატონი ოთარ ჩიხლაძისთვის.

1960 წლის ზაფხულში დიდი სტუმრიანობა იყო ქუთაისში. მოსკოვიდან ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, თბილისიდან კი – ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები, საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ დირექტორი და დიდი თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის, მისი კომუნალური მეურნეობის და არქიტექტურის განყოფილებების ხელმძღვანელები და სხვები. თითბირს წარმართავდა ქუთაისის იმდროინდელი თავკაცი შოთა კობახიძე, რომელიც პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლდათ.

არასდროს დამავიწყდება ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნის გამოსვლა. მან ისაუბრა სამამულო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში ქვეყანაში შეიარაღების დონის მიღწევებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ არმია აღიჭურვა ისეთი მძიმე წონის საბრძოლო ტექნიკით, რომელსაც ქუთაისში, მდინარე რიონზე ვერც ერთი ხიდი ვერ გაუძლებს, ამასთან მიზანშეუწონებელიაო მათი რეკონსტრუქცია, რადგან მოთხოვნებს მაინც ვერ დააკმაყოფილებენო. ამიტომ აუცილებელია მდინარე რიონზე აშენდეს ახალი ხიდი, რომელიც უზრუნველყოფს მძიმეწონიანი მოძრავი ტექნიკის გადაადგილებას.

რუსთველის ხიდი და მისი შემოგარენი

1965 წლის 6 ნოემბერი ხიდის გახსნის დღე

რამდენიმე გამომსვლელის მოსმენის შემდეგ იქვე განაწილდა სამუშაო და დაევალა ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს მ. მამფორიას, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელს მ. ლომთაძეს, საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“ (ბ. საბაშვილი, ქ. დგებუაძე) უმოკლეს ვადაში განესაზღვრათ ქუთაისში, მდინარე რიონზე ახალი ხიდის ყველაზე ოპტიმალური ადგილი. მათი წინადადება შეთანხმდებოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტთან, და უახლოეს დროში წარედგინებოდა სათანადო ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ცენტრალური ნაწილის განაშენიანება-რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა უკვე დამუშავებული ჰქონდა ქალაქის მთავარ არქიტექტორს შოთა ლომთაძეს. ამ გეგმაში ხიდისთვის გათვალისწინებული იყო ზუსტად ის ადგილი, სადაც შემდგომ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით ახალი ხიდი აშენდა. ხიდის პროექტთან ერთად დასამუშავებელი გახდა მასთან მისასვლელი გზებისა და მოედნების დოკუმენტაცია. დადგინდა, ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით განხორციელებულიყო ფალიაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია. მასთან უნდა გაერთიანებულიყო ცისფერყანწელთა ქუჩა (ამჟამად რუსთაველის ქუჩის შემადგენელი ნაწილი). მათ გადაკვეთაზე გაშენდებოდა ცენტრალური მოედანი.

იმ პერიოდში ქვეყნის აღმოსავლეთიდან ქალაქში ავტოტრანსპორტი შემოდიოდა მხოლოდ საფიჩხიიდან და დასავლეთით ქალაქის ცენტრის გავლით განაგრძობდა მსვლელობას. ამ პერიოდში ლითონის კონსტრუქციებით აწყობილი ჯაჭვის, წითელი და თეთრი ხიდები უკვე ვერც ტვირთამწეობით და ვერც გაბარიტული ზომებით ვერ უზრუნველყოფდნენ მძიმეწონიანი მოძრავი შემადგენლობის გატარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში ქალაქის მძიმე წონის ტრანსპორტი – ტროლეიბუსები, ავტობუსები რიონზე გადადიოდნენ მხოლოდ „თეთრი“ ხიდით, ამასთან შეზღუდული გაბარიტის გამო გამოირიცხებოდა მოპირდაპირე მხრიდან მოძრავი ტრანსპორტი.

1962 წელს საქართველოს მთავრობამ ხიდის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-აღმშენებლობის პროექტის შედგენა დაავალა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“ და მის ქუთაისის ფილიალს (დირექტორი ქ. დგებუაძე). პროექტის ხელმძღვანელად განისაზღვრა ხიდების ცნობილი სპეციალისტი და მეცნიერი გიორგი ჩომახიძე. საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ ქუთაისის ფილიალში ხიდის პროექტის მუშა ნახაზების შესადგენად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი. მის შემადგენლობაში შევიდნენ თბილისიდან ინჟინერ-კონსტრუქტორები: ნ. მიქაძე და მ. მიზრახი, ხოლო ქუთაისიდან მათი ახალგაზრდა კოლეგა გიორგი (ჯემალ) წულაძე. ჯგუფის ხელმძღვანელად შეირჩა ალექსანდრე დუდუჩავა, ხოლო არქიტექტურული ნაწილის დამუშავება დაევალა არქიტექტორ გივი თოდაძეს, რომელიც ამჟამად ქუთაისის საპატიო მოქალაქეა და „არქიტექტურის რაინდის“ საპატიო წოდებას ატარებს.

ნაგებობის ტერიტორიასთან შერწყმის მიზნით მოიაზრეს, რომ ხიდს ჰქონოდა თაღური გადაწყვეტა, ამასთან ყოფილიყო რკინა-ბეტონის, მონოლითური, რამაც არსებულ ლანდშაფტს თავისებური ხიბლი შემატება.

პროექტის ხელმძღვანელის გიორგი ჩომახიძის გადაწყვეტილებით კონსტრუქციების გაანგარიშება ცალ-ცალკე დაევალათ, ერთი მხრივ, ინჟინერ-კონსტრუქტორებს ნ. მიქაძესა და მ. მიზრახს, მეორე მხრივ კი, გიორგი წულაძეს. იმ პერიოდისათვის არ არსებობდა ელექტროგამომთვლელი ავტომატური მანქანები და გაანგარიშება უბრალო მათემატიკური ხერხებით და ე.წ. ლოგარითმული სახაზავებით (შიმშით) ხდებოდა. ეს დავალება სისტემატურად მოწმდებოდა და განხილებოდა თბილისში გ. ჩომახიძის თავმჯდომარეობით.

საბოლოოდ უპირატესობა მიენიჭა გ. წულაძეს. მისი გამარჯვება ქუთაისელებისათვის მრავალმხრივ ხელსაყრელი იყო, მათ შორის იმითაც, რომ შეეძლო, უფრო ეფექტურად გაეწია საავტორო ზედამხედველობა. ამით მნიშვნელოვნად გამარტივდებოდა საკითხების განხილვა-გადაწყვეტა და დაჩქარდებოდა მშენებლობის ტემპი.

ხიდის მშენებლობის ხელმძღვანელობა დამევალა მე, რადგან იმ პერიოდში საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ვიყავი.

* * *

მშენებლობის პროექტთან ერთად იმთავითვე დამუშავდა სანაპიროთა საყრდენი კედლები: წითელი“ ხიდიდან ახალ ხიდამდე. მარცხენა საყრდენის კედლის მშენებლობისას დაბრკოლება არ წარმოქმნილა, რადგან ძირითადად კლდოვან ქანებს ეყრდნობოდა. შედარებით რთული აღმოჩნდა სამხრეთის მხარის კედლის ბურჯის მშენებლობა, ფუძე-კლდოვანი ქანები ძალიან ღრმად – 15-16 მეტრის სიღრმეში იყო. ამიტომ ხიმინჯებზე გაკეთდა განიერი შემკრავი კედელი, რომელზეც დაშენდა საყრდენი. ეს იმ პერიოდისთვის ახალი სიტყვა იყო მშენებლობაში. საბედნიეროდ, ამ სიახლემ გაამართლა და იგი 50 წლის შემდეგაც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

დამუშავდა ფალიაშვილის, რუსთველის, სევასტოპოლის ქუჩების, აგრეთვე მისასვლელების და, რაც მთავარია, ხიდის მარჯვენა და მარცხენა მოედნების პროექტები. ამ პროექტების ხორცშესხმის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ როგორც რუსთაველის ხიდი, ისე მთლიანი კომპლექსი ყოველგვარ მოთხოვნას და ნორმებს აკმაყოფილებს.

* * *

ახალი ხიდის და მისი შემოგარენის რეკონსტრუქცია-განაშენიანების პროექტის დასრულების შემდეგ გადაწყდა, რომ მთლიანი კომპლექსის მშენებლობა წარმართულიყო ეტაპობრივად. პირველ რიგში დაიწყებოდა ხიდის მშენებლობა, შემდეგ კი მისასვლელი გზების გაფართოება-რეკონსტრუქცია და მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოედნების მოწყობა.

ხიდის მშენებლობა დაუყოვნებლივ რომ დაწყებულიყო, საჭირო გახდა მარცხენა სანაპიროზე ერთსართულიანი, არაკაპიტალური სახლის აღება და ნარგავებისაგან ტერიტორიის განთავისუფლება. ეს საკითხი შედარებით სწრაფად გადაწყდა. ორივე ოჯახი, რომელიც იმ სახლში ცხოვრობდა, კანონის შესაბამისად დაკმაყოფილდნენ ბინებით და გაუნაღდდათ მწვანე ნარგავების ღირებულება, ამასთან ზოგიერთი მათგანი მშენებლობაზეც დასაქმდა. უფრო რთული იყო შემდგომი ეტაპი, ხიდდთან მისასვლელი გზებისა და მოედნების მშენებლობა მოითხოვდა, მდინარის მარცხენა მხარეს, ფალიაშვილის ქუჩაზე აღებულიყო ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ბავშვთა საავადმყოფო, პოლიკლინიკა და სამშობიარო სახლი; შენობა, რომელიც ეკუთვნოდა საბინაო სამმართველოს და მეორე სართულზე მცხოვრებ ორ ოჯახს. წითელ ხიდდთან ასაღები იყო ორსართულიანი კერძო, კაპიტალური სახლი, რომელშიც ცხოვრობდა რამდენიმე ოჯახი და მათ სარდაფში იყო ისტორიული ღვინის საწარმო და მარანი; აგრეთვე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა 12 ოჯახი.

მდინარის მარჯვენა მხარეს მთლიანად უნდა აღებულიყო საკონდიტრო ფაბრიკა, რვა კერძო საცხოვრებელი სახლი; უნდა გაფართოებულიყო ყოფილი სევასტოპოლის ქუჩა და მისი მიმდებარე ჩიხების გაფართოება-რეკონსტრუციისათვის კერძო მფლობელებს უნდა ჩამოჭროდათ მიწის ნაკვეთები.

სამშობიარო სახლის, ბავშვთა პოლიკლინიკის და საავადმყოფოს დარღვევის შემდეგ მათთვის დროებით სარგებლობისათვის ქალაქში არასაკმარისი ფართობის გამოყოფამ ძალზე შეაფერხა ისინი. იმ პერიოდში ქუთაისში მძლავრი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობა და მასთან დაკავშირებული სფეროები, რაც დიდად ზრდიდა მოსახლეობის რაოდენობას და შესაბამისად მოთხოვნებს ჯანმრთელობის მძლავრ კერებზე. ამიტომ დღის წესრიგი დადგა სამშობიარო სახლის, ბავშვთა პოლიკლინიკის და საავადმყოფოს ახალი შენობის აგება. ქალაქის ხელმძღვანელობამ ამ უაღრესად პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად მიმართა რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებს, მიიღეს სრული მხარდაჭერა და მათთვის აშენდა ახალი კორპუსები.

იგივე ბედი ეწია საკონდიტრო ფაბრიკას. ქალაქის ხელმძღვანელობისა და საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით ქუთაისში მძლავრი, ახალი საკონდიტრო ფაბრიკა აშენდა.

ხიდის მშენებლობისა და მისი შემოგარენის განაშენიანება-რეკონსტრუქციაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ინჟინრები შალვა ციციაშვილი, ნოდარ ტოგონიძე, ვაჟა ბარაბაძე, სიმონ ნიქაბაძე, ლევან ფილიპაშვილი, ცეზარ ჩოგოვაძე და სხვები, აგრეთვე ქალაქის მთავარი არქიტექტორი დავით ნაცვლიშვილი და აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო უფროსი ვლადიმერ აბულაძე.

მშენებლობას დიდ ყურადღებას უთმობდა და ფინანსურად ხელს უმართავდა საქართველოს კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვახტანგ პაატაშვილი.

* * *

ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის მარად დაუვიწყარია ხიდის გამოცდა მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ.

1965 წლის 6 ნოემბერს მოსკოვიდან ქუთაისს ეწვია იმდროინდელი მშენებლობის, შემდგომში საკავშირო „ხიდმშენის“ მინისტრი ი. ჟუკოვსკი, თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან – სტუმრები, რათა მონაწილეობა მიეღოთ ახალი ხიდის საექსპლოატაციოდ გადაცემის აღსანიშნავ ზეიმში.

იმ პერიოდისთვის არსებული წესების შესაბამისად გადაწყდა, რომ ხიდის ქვეშ დავმდგარიყავით მე, როგორც მშენებლობის ხელმძღვანელი, პროექტის ავტორი გ. წულაძე და უშუალოდ მშენებელი ა. აბრამიძე. კარგად მახსოვს ხიდის გამოცდის პერიოდში ერთმანეთისათვის არაფერი გვითქვამს, თითოეული ჩვენგანი ფიქრობდა მხოლოდ ხიდის გამძლეობასა და მისი ქვედა ნაწილის სტაბილურობაზე.

ხიდის ტექნიკური გამოცდისათვის მობილიზებული იყო ხრეშით დატვირთული 200 თვითმცლელი. ისინი ხიდზე ერთ მიმართულებით ოთხ რიგად გადაადგილდებოდნენ. მათ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ და აკონტროლებდნენ შესაბამისი სპეციალისტები და ავტოინსპექციის წარმომადგენლები. საბედნიეროდ, ჩვენთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. გამოცდას ხიდთან ერთად ჩვენც გავუძელით და როდესაც ხიდის ზედაპირზე ამოვედით, გულთბილი სიტყვებით შეგვეგებნენ და მოგვილოცეს დიდი საქმის მაღალხარისხოვნად დასრულება.

ხიდის საექსპლუატაციოდ გადაცემის ოფიციალური გაფორმების შემდგომ, ხიდის მშენებლები მიგვიწვიეს იქვე მდებარე რესტორან „განთიადში“ გამართულ ბანკეტზე, სადაც ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა ხიდმშენებლებზე და იქვე დაგვეგალა, დაუყოვნებლივ დაგვეწყო გორის (ამჟამად ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე ძალზე გადატვირთულ რკინიგზის ხაზზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა, რაც ძალზე მალე განხორციელდა.

იმის მიუხედავად, რომ მდინარე რიონის ახალი ხიდი ქუთაისისათვის კი არა, ახალ ტერიტორიათა დაპყრობის მიზნით აგვაშენებინა იმდროინდელი საბჭოთა რუსეთის მილიტარისტულმა ხელმძღვანელობამ, ისტორიის ჩარხი სულ სხვაგვარად დატრიალდა. მათ არ ეღირსათ ამ ხიდის გავლით მორიგი სამხედრო ავანტიურის განხორციელება და ახალმშენებლობა ქალაქში რუსთველის სახელობის უაღრესად მშვიდობიან ხიდად ჩაეწერა, ჩემს სხვა კოლეგებთან ერთად, ამიტომ ვინახავ საოჯახო არქივში ყოფილი საკავშირო მინისტრის ი. ჟუკოვსკის სპეციალურ დიპლომს, რომლითაც სხვებთან ერთად მეც დამაჯილდოვეს.

ოთარ ჩიხლაძე,
რუსთველის ხიდის მშენებლობის უფროსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲠ დავიწყებ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების დეტალურ აღწერას, რადგანაც, ფაქტობრივად, ყველამ იცის, თუ როგორ ვითარდებოდა პირველ დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის გამოძიებისა და ამ ტრაგედიისგან გამოწვეული საზოგადოების მღელვარების პროცესები.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში დაძაბულობამ პიკს მიაღწია, რადგანაც პროკურატურის მიერ დაშვებულმა გადაცდომებმა, რომლებსაც თამამად შეიძლება „დანაშაული“ ვუწოდოთ, სამართალის გარეშე დარჩენილი შვილდაღუპული მამა ქუჩაში გამოიყვანა.

პროტესტმა რომელიც ზაზა სარალიძემ დაიწყო, ხალხის სრული მხარდაჭერა პოვა. საზოგადოება დაფიქრდა იმ უსამართლობაზე, რაც მოხდა. დაფიქრდა, შეშინდა და თავისი სრული მხარდაჭერა გამოუცხადა გაუბედურებულ ოჯახებს, მაგრამ...

აი აქ მოხდა მეორე ტრაგედია, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან საშინელია. საშინელია იმ მორალური პრინციპების ფეხქვეშ გათელვით, რასაც უსამართლობის უმაღლესი გამოხატვა იწვევს.

მასობრივი პროტესტი ნაციონალურმა მოძრაობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა, რითიც კიდევ ერთხელ აჩვენა ამორალური, არაადამიანური სახე.

მათ მოახერხეს საპროტესტო მუხტის ხელში ჩაგდება და თავიანთი მერკანტილური მიზნებისკენ წარმართვა.

პროტესტი, რომელიც სამართლიანობის აღდგენის და ყველა დამნაშავის დასჯის მოთხოვნით დაიწყო, პოლიტიკურ პროცესში გადაიზარდა. გაჩნდა ხელისუფლების გადადგომისა და არსებული მანკიერი სისტემის დანგრევის მოთხოვნა, რომელმაც გადაფარა გაუბედურებული ოჯახის ინტერესი და სახალხო არეულობისკენ მიმართულ ქმედებაში გადაიზარდა.

ელემენტარულია, მიხვდე, რომ ის დანაშაულებრივი სისტემა, რომელიც დღეს ე.წ. „კოჰაბიტაციის“ შედეგად სამართალდამცავ სტრუქტურებში დარჩა, ამ საქმის ჭეშმარიტი გამოძიების შედეგად საკმაოდ შეირყევა და შესაძლოა, საბოლოოდ დაინგრეს კიდეც, რაც ყოველგვარი ხისტი ქმედების გარეშე თავისუფლად მოახერხა კახი კახიშვილმა. შსს ახალი მინისტრის გიორგი გახარიას მიერ დაწყებული რეფორმები სისტემის გაჯანსაღების დიდ იმედს იძლევა.

ნაციონალურმა მოძრაობამ ძალია ცუდი საქმე გაუკეთა ზაზა სარალიძეს. ზაზა სარალიძეს და სიმართლის დადგენას.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მას შემდეგ, რაც დაინახა რომ სადავეები ყოფილი რეჟიმის დროინდელმა პატრულ-ინსპექტორმა, ვინმე ზვიად კუპრავამ ჩაიგდო ხელთ, რაც დაინახა, რომ აქციაზე გამოჩნდნენ კომიკურობაში გადასული ის ოდიოზური ფიგურები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ კონსულტაციების მისაღებად ამსტერდამში, საერთაშორისო ავანტიურისტ მიშა სააკაშვილთან იმყოფებოდნენ, ტელევიზიები აქტიურად აშუქებდნენ მათს მოწოდებებს, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, უარი თქვა უკვე აშკარად გამოხატულ მარაზმზე და ვაკის პარკში გადაინაცვლა. ამ შეკრებას მედიამ მაშინვე ე.წ. „კონტრაქცია“ დაარქვა.

მე ვესწრებოდი იმ აქციას და დარწმუნებით ვიტყვი, რომ არავითარი „კონტრაქცია“ ის არ ყოფილა.

ის იყო ხალხის შეკრება, რომელზეც მოითხოვდნენ 2012 წლის უმთავრესი დაპირების — სამართლიანობის აღდგენის შესრულებას.

დაპირების, რომელიც სოზარ სუბარის თქმით, „არც ინვესტიციებს საჭიროებს და არც დროში გაწელილი პროცესია, მას უბრალოდ სახელმწიფოებრივი ნება სჭირდება“.

ნაციონალები, რომლებიც უკვე კარგა ხანია, დაემსგავსნენ მოლა ნასრედინს, როცა მან თავისი ტყეული — მეჩეთთან ფლავს არიგებენო, დაიჯერა, საერთოდ ამოვარდნენ რეალობიდან და დაიჯერეს NDI-ს „კვლევები“, აჩქარდნენ.

არაადეკვატურად დაინახეს საზოგადოების მათდამი დამოკიდებულება და გადაჭარბებით შეაფასეს თავიანთი მწირი შესაძლებლობები.

ამ ყველაფერმა კი არც მეტი და არც ნაკლები, ზეპასიურ და დაბნეულ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება გადაარჩინა.

ხელისუფლება, რომელსაც შეეშინდა რეალური პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება და მელიასთვის გადაგდებული ბარტყივით მოისროლა მთავარი პროკურორი, რადგანაც ჩათვალა, რომ ხალხს უყვარს და დემოკრატიასა და საერთაშორისო მხარდაჭერაზე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების თქმის მეტი რაიმეს კეთება საჭირო აღარ არის, გადარჩა.

აბა ერთი წამით დაფიქრდით და წარმოიდგინეთ, თუ რა მოხდებოდა, ნაცები და ის კომიკური „პოლიტიკური ლიდერები“ ღიად არ მისულიყვნენ სარალიძე-მაჩალიკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე და შეფარულად ემართათ პროცესი?

დამერწმუნეთ, რუსთაველის გამზირზე ათიათასობით გაბრაზებული მოქალაქე გავიდოდა და პროტესტი საკმაოდ მკვეთრ შედეგებს მოიტანდა.

გავიდოდნენ ნორმალური, ჯანსაღად მოაზროვნე მოქალაქეები, რომლებსაც დაუგროვდათ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც ეშინიათ ხვალინდელი დღის, რომლებიც ხედავენ უსამართლობას ყველა სფეროში და ამ მუხტის სწორად წარმართვის შემთხვევაში, ხელისუფლება ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა ერთი საკმაოდ საინტერესო პოსტი, რომელიც ნათლად აჩვენებს პროცესების მოსალოდნელ განვითარებას: **„ის „პოლიტიკური პარტიები“, რომლებმაც ეს ფარსი მოაწყვეს, შუაზე უნდა გახეთქო ამ ისედაც გაუბედურებული ხალხის შეურაცხყოფისთვის!“**

დიახ, საზოგადოების განწყობა, ფაქტობრივად, ასეთია და ამ „პოლიტიკურ პარტიებში“ მმართველი ძალაც იგულისხმება.

შეიძლება ითქვას, რომ 10 ივნისის აქციის დაწყების წინ, ის ე.წ. „პორტირებულები“, რომლებითაც სავსეა ხელისუფლება და ხალხს უკვე დიდი ხანია, გაშიფრული ჰყავს, დაახლოებით ისე ფიქრობდნენ, როგორც ამ ფეისბუქ-პოსტშია გადმოცემული — **პორტირებულის ფიქრები:**

საწვიმარი ღრუბლებიც არ ჩანს! რაღაცაშია საქმე, იმან ხომ არ გვიღალატა, ჰაა? გავიდე აქციაზე და შორიახლოს გავჩერდე? რა იცი, რა ხდება.

ამ აქციამ კიდევ ერთი, საკმაოდ ნიშანდობლივი რამ გვიჩვენა: **რაც აქციაზე ვიხილეთ, იმაზე 10-ჯერ ნაკლები მხარდაჭერი ჰყავს ნაცმოძრაობას. რეალურად, ოჯახის წევრები! და ეს პატარა ჯგუფი ხელისუფლებას მთავარ ოპოზიციურ ძალად ჰყავს აღიარებული. არავითარი 500 000 ხმა ამ კრიმინალებს არ მიუღიათ!**

ეგ კი არა და ნიკა გვარამიამ აღშფოთებით დაწერა, რომ ნაცმოძრაობას მთელი პოლიტსაბჭო (100 წევრი) რომ გამოეყვანა, იმაზე მეტი ხალხი იქნებოდაო (რა მაგის პასუხია და რა ამბავია პოლიტსაბჭოში 100 წევრი? მგონი, ამდენი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც არ ყოფილან).

კიდევ ერთხელ ვსვამ შეკითხვას: **რა მოხდებოდა, ნაცებს „საზარბაზნე ხორცის“ და „ლიდერის“ როლი კი არა, ჭეშმარიტი პოლიტიკა რომ ეთამაშათ და ფარულად ემართათ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით დაწყებული პროტესტი და სახალხო მღელვარებაში გადაეტანათ?**

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება გადარჩა. ამჯერად გადარჩა, მაგრამ არსებობს ძველეგვიპტური ანდაზა: თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს არ ნიშნავს რომ ნიანგი შენი მეგობარია!

ვინ არის ამ შემთხვევაში „ნიანგი“? ხალხი თუ ბოკერია, რომელმაც ამ ყველაფრით საკმაოზე მეტად იხეირა?

ბოკერიამ აბსოლუტურად სწორი გათვლა გააკეთა. მან კარგად იცის საზოგადოების რეალური განწყობები და მიხვდა, რომ ნაცები ჩაფლავდებოდნენ. სწორი ნაბიჯი გადადგა ნახევრადაქტიურობით და ხელში ჩაიგდო საპარლამენტო საგამოძიებო კომისია. დაფიქსირდა მეორე ოპოზიციურ ძალად და მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესში აქტიურ მონაწილეობაზეც განაცხადა პრეტენზია.

ეს ყველაფერი კი თავისუფლად შესაძლებელია არსებული პრობლემების მიმართ, ჩვენი დასავლეთელი „პარტნიორების“ იმ სტანდარტული დამოკიდებულების ფონზე, რომლისთვისაც სულხან მოლაშვილის მწამებელი გიგა ბოკერია მისაღებია, რადგანაც მის წინააღმდეგ არამც თუ სასამართლოს განაჩენი, არამედ ძიებაც კი არ დაწყებულა.

„კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მისი პატიმრობის დროს საკუთარი წამების ფაქტებზე საუბრობს და ამაში გიგა ბოკერიას, ზურაბ ადეიშვილსა და გოგა გრიგალაშვილს ასახელებს. როგორც მოლაშვილმა „მეცხრე არხის“ ეთერში საფრანგეთიდან პირდაპირი ჩართვის დროს განაცხადა, დაკავების პირველივე ღამეს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბოკერია და ადეიშვილი მას წამების საშინელი მეთოდებით გაუსწორდნენ სასურველი აღიარებითი ჩვენების მიცემის მოთხოვნით.“

სად დავაშავეთ?

ამ შეკითხვას პატრიოტთა ალიანსის ლიდერ ირმა ინაშვილის საკმაოდ ვრცელი ანალიზის ამონარიდიდან გავცემ პასუხს: **სად დავაშავეთ? როდის, რა მომენტში? ალბათ, ბევრი უსვამს საკუთარ თავს ამ კითხვას. ჩვენ მაშინ დავაშავეთ, როდესაც „ქართულ ოცნებას“ მოსამართლე კუბლაშვილის ხოტბა გავუტარეთ, მერე ადეიშვილის დახასიათება — კარგი მენეჯერი იყო, სახლში პარკეტიც კი არ ჰქონდა დაგებული, უბრალოდ, რეჟიმმა იმსხვერპლაო. ჩვენ მაშინ დავაშავეთ, როცა 2012-2013 წლებში მაშინდელმა პროკურატურამ, კბილაშვილის ძალისხმევით, სისხლის სამართლის დამნაშავეების „გათეთრება“ და გადარჩენა დაიწყო. ათასობით მოწმემ ჩვენება მისცა და კბილაშვილი გვარწმუნებდა — მტკიცებულებები არ არისო. კბილაშვილის დაპატიმრება რომ არ მოვითხოვეთ, მაშინ დავაშავეთ. სააკაშვილიც გაატარეს ქვეყნიდან, ადეიშვილიც და თოფურიაც კი. ახლა თბილისის ყოფილი პროკურორი ზოდელავა, რომელსაც, ასევე, არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, დემოკრატიის მებაირაღედ დაგვასვეს თავზე. დავაშავეთ, ეს რომ მოცემულობად მივიღეთ. აღარაფერს ვამბობ ნაცმოძრაობის განაყოფ პოლიტჯგუფზე, რომელსაც აშკარად ხელისუფლებას უთმობენ.**

ხელისუფლებისა და ე.წ. „მეორე პოლიტიკურ ძალად“ გადაქცეული ევრონაცების ურთიერთდამოკიდებულებაზე პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში ისაუბრა.

„ივანიშვილს სხვა გზა არ აქვს და თავისი რეინტეგრაციით პოლიტიკაში დაგვანახა, რომ პოლიტიკაში პრობლემაა. იმ ხელისუფლების დღევანდელი ნამსხვრევი, უფრო ინტელექტუალური ფრთა, „ოცნებას“ პარლამენტში ასამართლებს. მეორე — ქუჩაში. ხელისუფლების მცირე ჯგუფი წავიდა „ევროპულ-საქართველოსთან“ ბოკერიას ჯგუფთან გარიგებაზე და ამით აშანტაჟებენ საზოგადოებას. ეს მცირე ჯგუფი არის ახალგაზრდა კომკავშირელები კობახიძე, თალაკვაძე და ა.შ.

მსოფლმხედველობით ბოკერიასთან ამ კომკავშირელებს უფრო მეტი სიახლოვე აქვთ. დღეს მაფიოზი ამბობს, მე ვარ უფლებადამცველიო, ბოკერია გახდა უფლებადამცველი. ბოკერია იყო ალ-კაპონე და ახლა იძახის, მე მარტინ ლუთერ კინგი ვარო. ეს არის აბსურდი.. დღეს მიწაა ამოსაბრუნებელი“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მოკლედ რომ ვთქვა, ამ ორ კვირაში საკმაოდ დიდი ლუსტრაცია მოხდა და უმთავრესი მორალური საკითხი იყო. გთავაზობთ კიდევ ერთ ფეისბუქ-სტატუსს, რომელიც ნათლად გვაჩვენებს საზოგადოების დამოკიდებულებას იმ 30-წლიან დეგრადაციაზე, რაც საქართველოში მოხდა: **ვიღაც ნაძირალა კუპრავა კი არა, სულ რაღაც 30 წლის წინათ პარლამენტთან აქციაზე მერაბ კოსტავა დაიჭირეს!**

საქართველოსთვის, ჩვენთვის საშინლად დამამცირებელი რეალობაა და ნამდვილად არ ვიცი, ამ დეგრადაციის შეჩერება როგორ შეიძლება.

წერილს კი ერთი ძველი ანეკდოტით დავამთავრებ. ანეკდოტით, რომელიც თანაბრად ეხებათ როგორც „სისტემის დამანგრეველებს“, ისე ამ „სისტემის წევრებს“:

1937 წელია. დიალოგი საკანში:

— რაზე ზიხარ?

— პოლიტიკურზე.

— ეგეთი რა ჩაიდინე?

— სანტექნიკოსი ვარ, რაიკომში კანალიზაცია გაფუჭდა და გამომიძახეს. მივედი, შევამოწმე და ვთქვი, აქ მთელი სისტემაა გამოსაცვლელი, ხომ ხედავთ რა სუნი დგას-მეთქი. ადგნენ და დამიჭირეს.

მართლაც ცუდი სუნი დგას და მართლაც სასწრაფოდაა შესაცვლელი სისტემა, რომელიც კოჰაბიტაციის შედეგად შემოპარულმა ერთმა „ტალახიანმა ღორმა“ მთლიანად გასვარა.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ კიდევ ერთი წარმატებული თეატრალური სეზონი

სეზონს ლალიძის „ლელა“ დახურავს!

15 ივნისს 18 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) 49-ე თეატრალურ სეზონს დახურავს. ამ წარმატებული, ნაყოფიერი სეზონის ბოლო აკორდად იქცევა რევაზ ლალიძის ოპერა „ლელა“ (დამდგმელი დირიჟორი — რევაზ ხურცილავა, დამდგმელი რეჟისორი — ზურაბ ანჯაფარიძე, დამდგმელი მხატვარი — თემურ არსენიძე, დამდგმელი ქორეოგრაფი — ელგუჯა გუმბერიძე, სპექტაკლი აღადგინა მაია გაჩეჩილაძემ).

თეატრალური სეზონის დასკვნით საღამოს „ლელას“ შეასრულებენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები — **ფერიდე ჯინჯიხაძე** (ლელა), **ბადრი სახამბერიძე** (ბერდო), **ბაკურ კვირიკაშვილი** (გელა), **კალისტრატე ხარჩილავა** (შერგილი), **ნუცა ზაქაიძე** (მეზარე), **ემილ ჩარგაზია** (მლოცველი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — **ნათია გოგუაძე)**, ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** წარუძღვება.

49-ე თეატრალურ სეზონში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არაერთ სპექტაკლსა და კონცერტზე მიიწვია აუდიტორია, ათეულობით მუსიკალურ ღონისძიებასაც უმასპინძლა. სარეპერტუარო სპექტაკლებიდან სრულდებოდა ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“, რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები“, სერგეი რახმანინოვის „ალეკო“, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, „პირველი სიყვარული“, რევაზ ლალიძის „ლელა“, ვანო გოკიელის „წითელქუდა“, წარმატებით ჩატარდა კონცერტები თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით; იყვნენ გასტროლიორებიც, მათ შორის ევროპაში დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველი მომღერლები — გოჩა აბულაძე, მარია კუბლაშვილი, ასევე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები — მარიკა მაჩიტიძე, არმაზ დარაშვილი, სულხან გველესიანი, ნინო ჩაჩუა...

და მაინც, ამ ფონზეც, ცხადია, უმთავრესი იყო პრემიერა — თეატრის დაბადების დღეს 27 დეკემბერს მაყურებლის, მსმენელის სამსჯავროზე წარდგენილი იყო საოპერო მუსიკის მარგალიტი — ჯუზეპე ვერდის **„რიგოლეტო“**. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა ამ სპექტაკლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. აი, როგორ შეაფასა „რიგოლეტოს“ პრემიერა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველმა, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ **გიორგი გეგეჭკორმა**: **„აღფრთოვანებული ვარ სპექტაკლით! შესრულება იყო ძალიან მაღალი კლასის. მსმენელის დონეზე შემიძლია ვთქვა, რომ რაც მომისმენია მსოფლიოს საოპერო სცენებზე, გნებავთ ვენაში, ციურიხში თუ „ლა სკალაში“, არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს ეხება არა მხოლოდ წამყვანი პარტიების შემსრულებლებს, არამედ ყველა სოლისტსა და განსაკუთრებით, გუნდს. შესანიშნავი იყო!.. ასეთი მიზერული თანხებით თუ ქუთაისის თეატრმა ესოდენ მაღალი დონის სპექტაკლის დადგმა შეძლო, კარგი დაფინანსების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო დონის სპექტაკლებსაც გამოუშვებენ“**. აღნიშნული ოპერა დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში და გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ირინე ლომინაძის** თქმით, მომავალ 50-ე თეატრალურ სეზონშიც მრავალი სიურპრიზი ელოდება ქუთაისის ოპერის სახელმწიფო თეატრის მსმენელებს. ამჯერად მხოლოდ ერთს დავაანონსებთ და გაცნობებთ მთავარი ღირსშესანიშნავი მოვლენის თაობაზე — დაარსდება ქუთაისის საერთაშორისო საოპერო ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები არიან: ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, საერთაშორისო ფონდი „მსოფლიოს ტალანტები“ (დამფუძნებელი - დავით ღვინიანიძე), ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია. პირველი ფესტივალის ჩარჩოებში სექტემბერში ცნობილი უცხოელი და ქართველი მომღერლების მონაწილეობით გაიმართება რამდენიმე საოპერო სპექტაკლი და გალა-კონცერტი, ფესტივალის დასკვნით აკორდად კი იქცევა პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსების“ აღდგენილ-განახლებული დადგმის პრემიერა, რომლითაც დაიხურება ფესტივალი და გაიხსნება 50-ე საიუბილეო თეატრალური სეზონი. აღნიშნული ფესტივალი უთუოდ მნიშვნელოვან ეტაპად იქცევა არა მხოლოდ ქუთაისის ოპერის თეატრის, არამედ ქალაქის განვითარებისა და აღმავლობის გზაზე, ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

ზურაბ ოიკაშვილი.

ტოჩინოშინი მცხეთაში

6 ივნისს ლეგენდარული ტოჩინოშინი — ჩვენი უძლეველი ოძეკი — ლევან გორგაძე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას ეწვია, სახელოვან სპორტსმენს შეხვდნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე, საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორი ლევან ზაუტაშვილი, მცხეთის მერიის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ბაქრაძე, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და თანამშრომლები. მასპინძლები დაწესებულების ეზოში გაეგებნენ სახელოვან სპორტსმენს და ოვაცია გაუმართეს. შემდეგ გადაინაცვლეს მერიის დარბაზში, სადაც მერიისა და მხარის ხელმძღვანელები გაესაუბრნენ ლევან გორგაძეს, მიულოცეს იაპონიის ამ ყველაზე პოპულარული სპორტის მწვერვალზე ასვლა და შემდგომი წარმატებები უსურვეს. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, ჩვენს საამაყო ფალავანს მცხეთის საპატიო მოქალაქის ტიტული ებოძა. ეს მოწმობა გადასცა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი კაპანაძემ.

ლევან გორგაძეს იაპონიიდან ამჯერადაც ჟურნალისტთა ჯგუფი ჩამოჰყვა, რომლებიც ტოჩის სამშობლოში ყოფნის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებენ. ისინი გაოცებულნი არიან ქართული ტრადიციებით და ტოჩინოს დიდი პოპულარობით როგორც სამშობლოში, ისე იაპონიაში.

ყველაზე ბედნიერი სახლში ვარ, — ამბობს ტოჩი — აქ არიან ჩემი ცოლშვილი, მშობლები, ახლობლები, მეზობლები, თანაკლასელი მეგობრები, პედაგოგები... ამათ შორის ვგრძნობ თავს ყველაზე სრულად, გახსნილად. რა თქმა უნდა, ჩემი კარიერა უმნიშვნელოვანესია, რომელსაც ჩემი არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი ძალების მოკრება და კონცენტრირება სჭირდება — თუ რამდენად ვახერხებ ამ ძალების შერწყმას, ეს ჩემს სპორტულ შედეგებში ვლინდება და ეს თქვენი შესაფასებელია, — მაყურებლის... მაგრამ შინ ყოფნაც ძალიან მომენატრა — მშობლიური სახლი ჩემი გულია! - მადლობა ყველას სითბოსთვის, სიყვარულისთვის — ყველანი მიყვარხართ!..

თამარ თათარაშვილი,
მცხეთა

აჭარაში ტურისტული სეზონი დაიწყო

აჭარა ზაფხულს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებითა და სიახლეებით ხვდება. რეგიონში ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს მთიანი აჭარის საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ახალი განთავსების ადგილები, ტურისტული სერვისები, საერთაშორისო ფესტივალები და კონცერტები ელოდებათ.

საზღვაო ტურისტული სეზონი რეგიონში 3 ივნისს, ზაფხულის ფესტივალით გაიხსნა. სეზონის განმავლობაში კი რეგიონის სტუმრები განებივრებულები იქნებიან ისეთი ფესტივალებითა და კონცერტებით, როგორებიცაა ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, ლეგენდარული ელტონ ჯონის ორდღიანი კონცერტით ბლექსი არენაზე, ფერების ფესტივალითა და ფოლკლორის დღეებით ბათუმის ბულვარში.

მთიან აჭარაში მოგზაურობის მსურველებს კი საინტერესო ეკოტურისტული, სათავგადასავლო და საინტერესო ტურისტული მარშრუტები ელოდებათ. უკვე მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირება ხულოს მუნიციპალიტეტში, სადაც მოგზაურებს 3-დღიანი წრიული მარშრუტების გავლა ცენტრალურ გზაზე ჩამოსვლის გარეშე მოუწევთ.

ჩირუხი-ხიხანი-გოდერძის წრიული მარშრუტი;

გოდერძი - მწვანე ტბა - შავი ტბა - დანისპარაულის წრიული მარშრუტი;

ხულო-თაგო-სხალთის საფეხმავლო მარშრუტი.

მთიან აჭარაში მოგზაურობის მსურველებს სრულყოფილ ტურებს უკვე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ბოლო ორ წელში გადამზადებული გიდები შესთავაზებენ. სიახლეა რეგიონში სერვისის გაუმჯობესების კუთხითაც. განსაკუთრებით ეს ეხება კურორტ გოდერძის, სადაც საოჯახო-სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები ჩაუტარდათ, რაც მათ ტურისტებთან კომუნიკაციას გაუმარტივებთ.

ზაფხულის ტურისტულ სეზონზე იზრდება ბათუმის მიმართულებით ფრენების რაოდენობაც. Tav Georgia-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით, ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ჯამში ბათუმის მიმართულებით 22 ავიაკომპანია შეასრულებს ფრენებს ისრაელიდან, ირანიდან, რუსეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ბელარუსიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ამას დაემატება ჩარტერული რეისებიც. სეზონზე ბათუმის მიმართულებით კვირაში საშუალოდ 120-მდე ფრენა იგეგმება.

განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდება სეზონს რეგიონის ტურისტულად მიმზიდველი ადგილები: ბათუმის ბულვარი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ბათუმის დელფინარიუმი.

გასული წლის მსგავსად, წელსაც ბულვარში, ტურისტებს ერთ სტილში მოწყობილი საპლაჟო სექტორი დახვდებათ, თავისი საშხაპეებით, გასახდელებით, ერთნაირი შეზლონგებითა და სანაპიროზე ჩასასვლელი შშმ პირებზე ადაპტირებული ბილიკებით.

წელს, აჭარაში დასვენების მსურველებს ახალი ტურისტული სერვისიც ელოდებათ. ბათუმის ულამაზესი ხედების ნახვა უკვე შვეულმფრენიდანაც იქნება შესაძლებელი.

სიახლეა განთავსების ობიექტების მხრივაც. გასულ წელს რეგისტრირებულ 429 ობიექტს 9 ახალი შეემატა. კიდევ ერთი მაღალი კლასის სასტუმრო „გლორია“ კი ბათუმში ზაფხულის პერიოდში გაიხსნება.

ველური ვარდი, რომელიც გაზონებს არ უხდება

ის მართლაც მოვარდნილი ქარიშხალია, ყველაფრის წალეკვით იმუქრება. ალბათ ძალუძს კიდეც. მისი ლექსები მეხივითაა, პირდაპირი, გულიდან ამოსული, ყოველგვარ გაპრანჭულობას მოკლებული, ისეთი როგორიც ალბათ თავადაა. ერთი შეხედვით, მკაცრია, ამის ძალაც აქვს. აკი, ამბობს კიდეც:

...მე — როგორც მეხი ეცემა მუხას,
ისეთი ძალით დავატყდი სტრიქონს.
ანდაც
მე ვარდი ვარ, ველური, არ ვუხდები
გაზონებს...

დარწმუნებულია იმაში, რასაც წერს, დარწმუნებულია, რადგან თავისია, ცხოვრებისეული, მისი სასიათის ამოფრქვევა ლექსად, მიუხედავად ამ შესანიშნავი წიგნისა, რომლისთვისაც „ცრემლების ფერწერა“ შეურქმევია, თითქოს სათუთი, გულისამაჩუყებელი, პოეტური, **მადონა დვალის** შემოქმედება მაინც ამბოხია. არ გაჩვევს თავის სევდას, ცხოვრებასთან ჭიდილს, პირიქით საოცარი მეტაფორებით გარწმუნებს იმაში, რომ ეს ასე უნდა იყოს, ეს მისია და თავად გადაწყვეტს, როგორ იცხოვროს, როგორ წეროს, როგორ ეფეროს, ოღონდ არ იყოს სუსტი, სხვაზე დამოკიდებული, სხვისი მსგავსი.

მაცილებენ სამყაროს ხმების პიანისტები...
და მკაცრ მარადისობას უკვე შევხვდი პირადად,
პოეზიის მოცარტით, შოპენით და ლისტებით,
მეც ვიმღერე ქართველთა უკვდავების ტირადა!

შეურიგებელია, მაგრამ მაინც სევდიანი. პოეზიაში თუ ხან გრანელია, ხანაც გალაკტიონი, პროზაში ნოდარ დუმბაძეა, სულის სიღრმემდე რომ შეეძრავს, აგატირებს და ეს ცრემლები უცებ სიცილის ცრემლებად გადაიქცევა. ასეთია მისი შესანიშნავი ავტობიოგრაფიული მოთხრობა **„მამის ფეხსაცმელებით გატკეპნილი ოცნება“.** ორ ქალაქში გატარებული ბავშვობა, სამეზობლო, სამეგობრო, ვერავისთან გასაყოფი სევდა, რომელიც უმამოდ გაზრდილ, მამაზე საოცრად შეყვარებული ბავშვის ოცნებიდან ჩამოყალიბებული პოეტის ფილოსოფიად იქცა.

აქვე დავძენ, რომ უშესანიშნავესია ქართველ პოეტთა რუსულენოვანი თარგმანები, თავანკარა რუსულით ამეტყველებული მეოცე საუკუნის ქართული პოეზია. საგაზეთო წარდგინება მეტის საშუალებას არ გვაძლევს, რათა ღრმად წარმოგიდგინოთ შესანიშნავი პოეტი მადონა დვალი, სამაგიეროდ გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

მამუკა ბაშაკიძე

...და სიყვარულის ლაზარე აღდგა!

აღიარება

კვლავ სიყვარულზე ფიქრებს ვუნდები,
ამ სენმა ხელი მყარად მომკიდა,
კვლავ დამახვია მზის ,,ბიგუდები“,
გადმომახედა ცის ,,ბინოკლიდან“.

და ჩემი ლექსის მძიმე სკივრებში
ჩაკეტა გული ასი თაობის,
რომ პოეზიის ლაბირინთებში
აგემოს ძალა ვნების ჭაობის.

ამ სიყვარულზეც ვერ ვთქვი უარი
და დავეწაფე ლოლოს კოვზებით,
შემამკო, ცრემლის აქსესუარით –
ზედ დაცემული ანგელოზებით!

ეს მერამდენედ ვდგები – ზედიზედ,
გადაქანცული სცენით, ფარდებით...
ჩემი ეპოქის გზაჯვარედინზე
მოვდივარ, ლექსის ლეოპარდებით!

არ წავალ, მიწის მზის უნახავიც,
მიწიერ ადამს ისევ მოგელი,
მეც მიწის ტყვე ვარ – მზეთუნახავი,
და მყვარობს ვნების მეფისტოფელი!

2016

ფიქრები სოხუმზე

ეძღვნება დეიდაშვილებს – ელგუჯა, ნონა და ელისო შენგელიებს

ეს მძიმე ტვირთი მაინც დავძარით,
არც მტირალნი, ვართ არც თავდახრილნი,
ხან გვესიზმრება პლაჟის ხანძარი,
ხან თოლიების თეთრი მარხილი.

ქარს ჩვენი ცრემლი ზღვაში ჩააქვს და....
უკვე არ გვინდა ფიქრი ამაზე,
რომ დედა თბილისს მკლავში ჩააკვდა
ჩვენი ბავშვობის ცის სილამაზე!

მე დაგაბრუნებთ ჩემი ლექსებით,
ვერ მეტყვით – ჩვენ იქ ვინღა გველისო,
ამ პოეზიის უკვდავ რელსებით
ერთ დღეს ვეწვევით სოხუმს ელისო!

მე ჯერ თბილისი არ შემიქია,
ფერმკრთალი სახე ვერ გაგვირუჯა –
იცის, მსოფლიოს წყლების სტიქია
და მაინც შავ ზღვას ეტრფის ელგუჯა!

გპირდები, ნონა ჩავალთ მე და შენ,
ლექსით ავუხსნით აფხაზ პუბლიკას,
რომ ჩემს აგებულ პირამიდაში
ვდებ შენი სახლის კლიტეს დუბლიკატს!

გავიღე ცრემლის ზღვა, მილიონი,
ლექსების გემი უკვე დავძარი,
მზრდიდა დეიდა მზის ბულიონით,
გეკუთვნით, ლექსის ერთი ტაძარი!

უნდა ვაუწყო ჩემი ზარებით,
რომ ამ ეპოქას სულ სხვა ხიბლი აქვს,
აგუმას ქუჩის სახლის კარები...
სადაც ბავშვობის ვწერდით ბიბლიას!

ის სადარბაზო ისევ მაგონებს,
როგორ მოფრინდა წყვილი ქედანი
ვიღაც კედლებზე წერდა ჟარგონებს...
დღეს ვუპასუხე – ლექსის დედანით!

თქვენს სახლში დამრჩა სიზმარი დილის:
ჩემი ბავშვური ლექსთა გრაგნილი,
გთხოვ, დამიბრუნო ის ლექსი
თბილისს –
აფხაზი მგოსნის გადათარგმნილი!

2018

შეხვედრა სოხუმელებთან

არ გავიხსენეთ ომი, მარცხი და
არც საფლავების სველი ბელტები,
ჩვენ აფხაზური თბილი ფაცხიდან
ვეწვიეთ სოხუმს –ცის მოლბრეტებით.



იქ დაბრუნების იყო ტოლფასი,
რომ მოვიგონეთ სკოლა, მაისი...
გადაგვერია გულის კომპასი,
იპოვა სულის ედელვაისი;

ის გასაოცრად რბილი ფერები
სასიყვარულოდ მარად გვეყოფა,
ვერა დაგვაკლო დრომ დაბერებით,
ჩვენ სილამაზის გვერქვა ეპოქა!

სოხუმის სკვერებს კვლავ უნებლიედ
ჩამოვურბინეთ – მტრედი დაგვსდევდა,
გვიხმობდა სახლში დასაბრუნებლად,
მაგრამ დაიწვა ჩვენი „ფაზენდა!“

მაინც არვისთან ვართ ცილობაში,
მოგვნატრებია რიწა, ათონი...
და ზღვის ვერცხლისფერ ვარცხნილობაში
ჩაფლული მთების საგუმბათონი.

არც პირფერობა არის ვინმესთან
აფხაზთა გენში რომ არ ვეჯვდები,
მწამს, ოჩამჩირის ძირძველ მღვიმესთან
აბსკილის ცხენის ანაბეჭდები.

ახლა შემინდეთ სიტყვა გვიანი,
თქმული სოხუმის ბედისწერაზე,
რადგან იმ სკოლის ფორტეპიანო
მე ავიტანე ლექსის მწვერვალზე!

და არ მეცალა სტროფი მელესა...
დრო გადარეცხავს უქმთა ღრეობას.
მე აფხაზეთის უკვდავ რენესანსს
ვენდობი, მთელ ჩემს მემკვიდრეობას!

2016

ქართული ზეცა

ამ ცით აგეხსნება სამოთხის ურდული,
ხომლის მთის ბილიკით, სიგიჟით
არაგვის,
რიწის ტბის ბაგეთა იდუმალ დუმილით,
ზედაზნის ხელადით, ალაზნის მარაგით.

ძვირფასო, ამ ზეცას გრიგალი ვერ
დახევს,
გულმკერდით ატარე მეტეხის ზარები.
დედა ღვთისმშობელი შემოგხსნის
არტახებს,
შენ მხოლოდ შეაღე სამოთხის კარები.

ცის თაღი ქართული, ეს მისი კოშკია
და ყველა ბილიკი იქამდე არ ადის –
გზა მისკენ, გჯეროდეს, ჯვარი და ოშკია
და მისი კარია – ტაძარი ბაგრატის!

გახსოვდეს, ფარავნის ტბის თვალებს
გაფიცებ,
ტერფებს რომ გიბანდა ჭოროხის დინება,
უფრთოდ რომ გაფრინდა ფანჯრიდან
ტაბიძე
და გული ქართული ტახტად რომ ინება!

ეგ შენი ლამაზი ყელი მოიღერე –
და მზერა პლანეტის ამ ცისკენ დაძარი,
„ჰერიო“, „არალე“ ძლიერად იმღერე,
გაიგონ, სადაც დგას ბედიის ტაძარი!

ეცეკვე ქარბუქებს „ხანჯლური“ ცერებით,
თვით უფლისციხესთან დაგხვდება
სამყარო...
იქნებ გაიყოლო ეს ჩემი ცრემლებიც
რომ სადმე, სამოთხის ღობესთან
დაღვარო.

იცოცხლე, იმრავლე, და ტკბილად
დაბერდი,
აგიხდეს, თამარმა რაც შენთვის ილოცა,
გფარავდეს იშხანი, გფარავდეს შატბერდი,
შენს გულში იესოს გაჩენას გილოცავ!

2011წ.

დროა, ევროპამ სადავეები საკუთარ ხელში აიღოს

დიდი შვიდანის შეხვედრამ, რომელიც კანადაში ჩატარდა, აჩვენა, რომ ევროპამ თავისი ბედი საკუთარ ხელში უნდა აიღოს, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის საფუძვლები ინგრევა. ამის შესახებ ევროკომისიის წარმომადგენელმა ფრანს ტიმერმანსმა განაცხადა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

დიდი შვიდიანის სამიტზე ქვეყნები თითქმის პირველად წააწყდნენ ერთიანობის შეგრძნების არარსებობას, მნიშვნელოვანი ეკონომიკურ და პოლიტიკურ საერთაშორისო პრობლემებთან დაკავშირებით. გარკვეულ წრეებში ეს შეხვედრა მონათლეს, როგორც „დიდი ექვსიანი“ — „პლუს ტრამპი“. რაშიც იგულისხმებოდა აშშ-ის პრეზიდენტის პოზიცია რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომელმაც დროზე ადრე დატოვა შეხვედრა და ბევრ საკითხზე საბოლოო პოზიციები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

„რაც იმას ნიშნავს რომ ევროპამ კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა აიღოს სადავეები და თავისი ბედი საკუთარ ხელში და ჩვენ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები ჩვენს შესაძლებლობებში“ — განაცხადა ტიმერმანსმა.

ისტორიული შეხვედრა სინგაპურში

ისტორიული სამიტი სინგაპურში — აშშ-ის პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მოლაპარაკებები გეგმის მიხედვით, დახურულ კარს მიღმა ჩატარდა და 41 წუთს გაგრძელდა.

პირისპირ შეხვედრის დასრულების შემდეგ მოლაპარაკებების მაგიდასთან დონალდ ტრამპსა და კიმ ჩენ ინის 2 ქვეყნის დელეგაციის წევრები შეუერთდნენ.

„ჩემთვის ეს დიდი პატივია და დარწმუნებული ვარ, რომ კარგ ურთიერთობებს ჩამოვაყალიბებთ. კარგი შეგრძნება მაქვს. ვფიქრობ, შესანიშნავი დისკუსია გვექნება და უზარმაზარ წარმატებას მივაღწევთ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ერთად ვიმუშავებთ, ბევრს მივაღწევთ“, — აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ორმა ქვეყანამ ბევრი რამ გადალახა ამ შეხვედრის ჩასატარებლად. „ძველი პრაქტიკა და ის ცუდი აზრი, რაც გვქონდა, დაბრკოლებას ქმნიდნენ ჩვენს გზაზე, მაგრამ ჩვენ ეს გადავლახეთ და დღეს აქ ვართ“, — აღნიშნა კიმ ჩენ ინმა, რასაც ტრამპი დაეთანხმა — „ეს სიმართლეა“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

„ეს არ იქნება იოლი, თუმცა მე ეს მსურს. ჩვენ ყველა სახის სკეპტიციზმი და სპეკულაციები გადავლახეთ ამ სამიტთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ეს კარგია მსოფლიოსთვის“ აღნიშნა ჩრდილო კორეის ლიდერმა.

ამერიკული მხრიდან შეხვედრას დაესწრენენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე ჯონ ბოლტონი და თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელი ჯონ კელი. ჩრდილოეთ კორეის მხრიდან კი შეხვედრას შეუერთდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ლი იონ ხო და ჩრდილოეთ კორეის „შრომითი პარტიის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კიმ იონ ჩხოლი.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბადრი გელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ბადრი გელაშვილი (პ/ნ 01011075958), თბილისი, გ. ნიორაძის შეს. №8.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, შოთა ნადირაშვილის ქ. №34, სართული 15, ბინა №290, ბლოკი „ბ“ (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.508.02.290https://naprweb.reestri.gov.ge/-/searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/-/search).).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 32921.32 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2018 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2018 წლის 28 ივნისი, 14:30 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP52927218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 529272
6. მოვალე: ბადრი გელაშვილი (პ/ნ 01011075958), თბილისი, გ. ნიორაძის შეს. №8.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52927218; ლოტის ნომერი: 529272).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 28 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბადრი გელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ბადრი გელაშვილი (პ/ნ 01011075958), თბილისი, გ. ნიორაძის შეს. №8.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, შოთა ნადირაშვილის ქ. №34, სართული 15, ბინა №290, ბლოკი „ბ“ (საკადასტრო კოდი: 01.17.14.003.508.02.290https://naprweb.reestri.gov.ge/-/searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/-/search).).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 32921.32 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2018 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2018 წლის 28 ივნისი, 14:30 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP52927218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 529272
6. მოვალე: ბადრი გელაშვილი (პ/ნ 01011075958), თბილისი, გ. ნიორაძის შეს. №8.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52925618; ლოტის ნომერი: 529256).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 28 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შორენა ვახტანგიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: შორენა ვახტანგიშვილი (პ/ნ 20001016965), თელავი, კავკასიონის ქ. №35ა, ბინა №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი,მშვიდობის ქ.,შესახვევი 2 №4 (საკადასტრო კოდი: 53.20.44.053https://naprweb.reestri.gov.ge/-/searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/-/search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 24325.71 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2018 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2018 წლის 28 ივნისი, 14:15 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP52926118;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 529261
6. მოვალე: შორენა ვახტანგიშვილი (პ/ნ 20001016965), თელავი, კავკასიონის ქ. №35ა, ბინა №9
დემნა ესიტაშვილი (პ/ნ 20001004534), თელავი, კავკასიონის ქ. №35ა, ბინა №9
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52926118; ლოტის ნომერი: 529261).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 28 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306I6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სამსონი ცაავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სამსონი ცაავა (პ/ნ 60001104985), ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №11, ბინა 54.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი,ბ. ბუკიას ქ. №11,ბინა 54 (საკადასტრო კოდი: 03.01.03.145.01.054https://naprweb.reestri.gov.ge/-/search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10797.45 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 13 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 28 ივნისი, 14:40 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP52927618;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 529276
6. **მოვალე:** ჯამბულ კანკია (პ/ნ 29001031687), მარტვილი, ს. აბედათი;
სამსონი ცაავა (პ/ნ 60001104985), ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №11, ბინა 54.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP52927618; ლოტის ნომერი: 529276).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 28 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

KA020183510355018

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

№1-1/210 26/აპრილი/2018 წ.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე

აუცილებელი საზოგადოებივი საჭიროებისათვის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველმა კომისიამ განიხილა შპს „ენერგოტრანსის“ 2018 წლის 28 მარტის №232 განცხადება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ და

გამოარკვია:

შპს „ენერგოტრანსი“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დავალებით ახორციელებს ქსანი-სტეფანწმინდას ახალი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავარი 500 კვ-იანი ექსპროპროგადამცემი ქსელის გაფართოებას. პროექტი ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით.

პროექტის ფარგლებში ექცევა მესაკუთრე თამაზ წიკლაურის (პ/ნ 16001023952) საკუთრებაში არსებული დუშეთის რაიონის, სოფელ ჩობალაურებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 112 კვ.მ მიწის ნაკვეთის სრულიად (ს/კ 71.58.26.383). მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება აფერხებს პროექტის განხორციელებას, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია დასახელებული პროექტის განხორციელება, შპს „ენერგოტრანსმა“ წერილობით მომართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადება, თანდართული დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიაჩნია, დააკმაყოფილოს შპს „ენერგოტრანსის“ შუამდგომლობა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შპს „ენერგოტრანსი“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დავალებით ახორციელებს ქსანი-სტეფანწმინდას ახალი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ უძრავი ქონების (ს/კ 71.58.26.383), მისამართი. დუშეთის რაიონი, სოფელი ჩობალაურები, (კატეგორია: სასოფლო-სამეურნეო) 112 კვ.მ) მესაკუთრეს წარმოადგენს თამაზ წიკლაური:

დადგენილია, რომ ზემოდასახელებული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების არეალში ექცევა თამაზ წიკლაურის საკუთრებაში არსებული 112 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე არსებულ ნარგავებთან ერთად.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია მოქალაქე თამაზ წიკლაურის საკუთრებაში არსებული 112 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 71.58.26.383, დუშეთის რაიონი, სოფელი ჩობალაურები) გამოსყიდვა.

დადასტურებულია, რომ მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა. გამოსყიდვის შეტყობინებებით მოქალაქეებს ასევე მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში შპს „ენერგოტრანსი“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და საკუთრების, პროექტის ფარგლებში მოქცეულ ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონდემბლობით დადგენილ ღონისძიებებს.

საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების, სამართლებრივ გარანტიას, წარმოადგენს კონსტიტუცია. უშუალოდ საკუთრების უფლების კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია ასახულია კონსტიტუციის 21-ე მუხლში. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს თითოეული მესაკუთრის უფლებას თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი და სხვა პირების ნებისმიერი ჩარევისგან, თუმცა საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრების ჩამორთმევას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „აუცილებელი საზოგადოებივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისგან“. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია, რომლის პირობები და წესი დადგენილია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ამ კანონის მიზანია, განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესი. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება „ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისთვის“.

ვინაიდან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ვერ ხერხდება მოქალაქესთან უძრავი ქონების გამოსყიდვაზე თანხმობის მიღება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება.

ამასთან, საექსპროპრიაციო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით ექსპროპრიატორისა და ქონების მესაკუთრის შეუთანხმებლობის საკითხის განხილვა/გადაწყვეტა არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით – „თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ამდენად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 19 აპრილის სხდომის ოქმისა და დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქსანი-სტეფანწმინდის ახალი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი ჩაითვალოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიენიჭოს პროექტის ფარგლებში მოქცეულ შემდეგ უძრავ ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლება – ს/კ 71.58.26.383 (მისამართი: დუშეთის რაიონი, სოფელი ჩობალაურები), მესაკუთრე: თამაზ წიკლაური საექსპროპრიაციო ფართი: 112 კვ. მ. მიწის ნაკვეთი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველო
ხევი-უბისას გზის პროექტი

კრედიტის/სესხის ნომერი:
არ არის განსაზღვრული

დავალების სახელწოდება:
E60 ავტომაგისტრალის F2 ხევი-უბისას გზის მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა

#KURP/CS/QCBS-01

საქართველო აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღებს დაფინანსებას ხევი-უბისას გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: E60 ავტომაგისტრალის F2 ხევი-უბისას გზის მონაკვეთის მშემებლობის ზედამხედველობა

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 57 თვე.

შერჩევა განხორციელდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Procurement Regulations for ADB Borrowers (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf).

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=143798 საშუალებით არაუგვიანეს 7 ივლისი 2018 წელი.

GEORGIA
KHEVI-UBISA ROAD PROJECT

CREDIT/LOAN NO: TBD

NAME OF THE ASSIGNMENT: CONSTRUCTION SUPERVISION CONSULTANT FOR THE E60 HIGHWAY F2 KHEVI-UBISA PROJECT

PACKAGE #KURP/CS/QCBS-01

Georgia has applied for financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Khevi Ubisa Road Project (KURP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service: **Construction Supervision Consultant for the E60 Highway F2 Khevi-Ubisa Project**

Approximate duration of the assignment: 57 months.

Selection will be done according to the Quality and Cost Based Selection Method (QCBS) provided in Procurement Regulations for ADB Borrowers (available at at https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf).

The Expressions of Interest will be submitted through ADB Consultant Management System: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=143798 not later than **July 7, 2018.**

◎ წინ, საქართველოვ!

ზაზამ ევროპული „ოქრო“ მოინადირა

სერბეთის დედაქალაქში სამ დღეს გრძელდებოდა კანოესა და კაიაკში ევროპის ჩემპიონატი. ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე შესანიშნავად იასპარეზა 2016 წლის რიოს ოლიმპიური თამაშების მეხუთეადგილოსანმა, მცხეთელმა ზაზა ნადირაძემ, რომელიც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატში მეორე და ევროპაზე მესამე იყო, ხოლო 2017-2018 წლებში მსოფლიოს თასებზე ორი მეორე ადგილი დაიკავა.

ბელგრადში ზაზამ საკვალიფიკაციო ეტაპზე დისტანცია 39.026 წამში დაფარა და პირდაპირ ფინალში გავიდა. იქ მას მეტოქეობდნენ ტიტულოვანი სპორტსმენები — ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს 14-გზის და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობების ექვსი ვერცხლის მფლობელი ივან შტილი (რუსეთი), 500 და 1000 მეტრზე მსოფლიოს ორგზის (2 ვერცხლის) და ევროპის ოთხგზის (თითო ვერცხლი და ბრინჯაო) ჩემპიონი მარტინ ფუკსა (ჩეხეთი), რომელმაც ამჯერად მონაგარი 500 და 1000 მეტრზე ოქროებით გაიმდიდრა; 2015 და 2017 წლების მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი არტსიომ კოზირი (ბელარუსი), რომელთანაც შარშან ზაზამ 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წაადგო; ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული და ახალგაზრდებში ევროპის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს თასის წლევანდელი პირველი ეტაპის გამარჯვებული ვადიმ კორობოვი (ლიტვა), 2016 წლის რიოს ოლიმპიადის მონაწილე ჰელდერ სილვა (პორტუგალია).

გადამწყვეტი პაექრობისას ქართველმა ნიჩბოსანმა სტარტი მე-6 ბილიკზე აიღო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა (39.200) — ზაზა ნადირაძემ ევროპის ჩემპიონობა პირველად მოიპოვა და ბელარუსის დედაქალაქში 2019 წელს გასამართავი მეორე ევროპული თამაშების საგზურიც დაიმსახურა. 39.224 წამით ვერცხლის მედალი ხვდა ივან შტილს (რუსეთი), ხოლო 39.468 წამით ბრინჯაოს მედალს არტსიომ კოზირი (ბელარუსი) დაყაბულდა.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

„წყნარი ოკეანის“ ხმაურიანი დასაწყისი

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ფიჯიზე იმყოფება და წყნარი ოკეანის თასის გათამაშებაში წარმატებით ჩაება. პირველ ტურში „ბორჯღალოსნები“ ტონგას დაუპირისპირდნენ. მართალია, მთელი მატჩის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო 20 წუთში, უპირატესობა მეტოქის მხარეს იყო, მაგრამ ქართველებმა გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება მაინც ჩაიწერეს. ჩვენებურთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო სოსო მათიაშვილი — 16-ვე ქულა მან შესძინა გუნდს. შეხვედრის მე-7 წუთზე მეტოქის შეტევისას ბურთი ხელთ იგდო, მთელი მოედანი გადასერა და ლელო გაიტანა, გარდასახვაც თავად შეასრულა უნაკლოდ. პირველ ტაიმში ორჯერ, ასევე, ზუსტად დაარტყა საჯარიმოები, რასაც ტონგამ ერთით უპასუხა — 13:3. შესვენების შემდეგ — მე-60 წუთზე მათიაშვილმა კიდევ სამი ქულით გაზარდა მონაგარი. ტონგელებმა ორი ლელოთი და ერთი ზუსტი გარდასახვით გვიპასუხეს. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა ეს ძნელი მატჩი 16:15 მოიგო. მილტონ ჰეიგის შეგირდები 16 ივნისს მასპინძელ ფიჯის შეხვდებიან. ამ უკანასკნელმა პირველ ტურში სამოას აჯობა — 24:22.

გივი გაგუა

◎ დაბრუნება

როგორ მოგვნატრებია

როგორც გულშემატკივრებს ახსოვთ, პოპულარული სპორტული გაზეთი „სარბიელი“ 1992-2008 წლებში პრესტიჟულ გამოკითხვას აწარმოებდა სეზონის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის გამოსავლენად. ჟურნალისტთა პირველი რჩეული გიორგი ქინქლაძე გახდა, ყველაზე მეტჯერ — 4-ჯერ ჩვენმა კოლეგებმა უპირატესობა კახი კალაძეს მიანიჭეს, ხოლო 3-ჯერ — შოთა არველაძეს.

სამწუხაროდ, ქომაგთა საყვარელი გამოცემის დახურვის შემდეგ აღნიშნული ტრადიცია წარსულს ჩაბარდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ დროებით.

გუშინ 10-წლიანი პაუზის შემდეგ „ლიდერბეთან“ დაწყებული თანამშრომლობა მეორე სუნთქვის გახსნითა და მორიგი ლაურეატის დასახელებით აღინიშნა.

ეს პატივი წილად ხვდა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების დაცვის ბურჯს, 26 წლის საბა კვირკველიას — 211 ქულა. მას ნდობა 80 კალმოსნიდან 64-მა გამოუცხადა. მეორე ადგილი „ჯვაროსანთა“ ვიცე-კაპიტანმა გურამ კაშიამ (არნემის „ვიტესი“) დაიკავა, ხოლო მესამე — ბელგიის „გენტის“ ჭაბუკმა შემტევმა გიორგი ჩაკვეტაძემ.

დავძენთ, რომ კვირკველიას შეძენით პრემიერლიგის შარშანდელი ჩემპიონი „ლესტერია“ დაინტერესებული.

გიორგი შოთაძე

◎ უკვდავება

მოდებაძის ტურნირი

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასის მფლობელის, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი მძიმეწონოსანი ფალავნის ნოდარ მოდებაძის (1949-2016) სახელობის პირველ მემორიალზე. 2005-2007 წლებში დაბადებულმა მოჭიდავეებმა იასპარეზეს.

ამ ტურნირის დამფუძნებლები არიან მოდებაძის კლუბის მწვრთნელები, მამა-შვილი შოთა და კახა კოტორაშვილები, მხარდამჭერი და ორგანიზატორი კი — გლდანის რაიონის გამგეობა.

ოლიმპიური მზადების ცენტრში გამართულ ამ შეჯიბრებას ესწრებოდნენ ნოდარ მოდებაძის ოჯახის წევრები და გოლიათი ფალავნის „ხალიჩის მეგობრები“ — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები.

გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ ერთ-ერთი სპორტული მაღაზიის 100-ლარიანი ვაუჩერები, მედლები, თასები... ხსოვნის ტურნირის ოქროს მედლები მოიპოვეს: 23 კგ. ისლამ ბორჩაშვილმა (ახმეტა-პანკისი), 26 და 29 კილოგრამში ტყუპმა ძმებმა რეზო და ლუკა ხელაძეებმა (მოდებაძის კლუბი), 32 კგ. თორნიკე ქერდიყოშვილმა (გორი), 35 კგ. დავით ჩოხელმა (მოდებაძის კლუბი), 38 კგ. ლაშა გოგრიჭიანმა (მართვე), 41 კგ. გოჩა კუპრეიშვილმა (მოდებაძის კლუბი), 44 კგ. ოთარ ბუალავამ (სოფელი დიღომი), 48 კგ. ლუკა ვანიშვილმა (გორი), 52 კგ. ნიკა ცხვედაძემ (ლილო), 57 კგ თემურ ქოჩქიანმა (ომც), 62 კგ. გიორგი გიგაურმა (მოდებაძის კლუბი), 68 კგ. რეზო გაგლოევმა (ხაბელოვის კლუბი), 75 კგ. გიორგი მაჭავარიანმა (მოდებაძის კლუბი), 85 კგ. თამაზ ბიგანიშვილმა (რუსთავი). კლუბებს შორის გუნდური გამარჯვება მოდებაძის სახელობის კლუბმა მოიპოვა.

გაბრიელ ბარგზაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

◎ ჩოგბურთი

ორ-ორი „ოქრო“ და „ვერცხლი“

ალექსანდრე მეტრეველის სახელობის კომპლექსში გამართულ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე მასპინძლებმა ორი პირველი და ამდენივე მეორე ადგილი დაიკავეს.

ვაჟთა ერთეულებში თავი გამოიჩინა მიხაილო კვანტალიანმა, რომელმაც ზედიზედ სძლია ხუთ მეტოქეს, მათ შორის — ფინალში შვეიცარიელ ადრიენ ბურდეტს — 6:4, 6:4 და თბილისის თასი მოიპოვა. წყვილებში კვანტალიანმა ჩარლი პენმანთან (დიდი ბრიტანეთი) ერთად მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობა დათმო ადრიენ ბურდეტისა და ანდრეი ლეკსაკოვის ტანდემთან - 4:6, 4:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

გოგონათა ერთეულებში ლანა კენჭიაშვილმა ნახევარფინალში თანამემამულე თამარ გაგოშიძეს აჯობა — 6:2, 6:4, ფინალში კი პირველ ნომერ ანასტასია ზოლოტარიოვასთან (რუსეთი) პირველი სეტი1:6 წააგო, მეორეში ტრავმა მიიღო და შეხვედრა ველარ განაგრძო. წინა დღეს ქართველმა ჩოგბურთელმა მარია ოდინცოვასთან (რუსეთი) დუეტში ზოლოტარიოვას და მარინა დავთიანს (სომხეთი) ფინალში სძლია — 7:6, 2:6, 12:10 და პირველი ადგილი დაიკავა.

თამაზ პატარიძე

ნოდარ (ნოფრე) გვარლიანის ხსოვნას

ის „მახვშად“ იყო დაბადებული



ოდესღაც სვანეთის მყინვარები მოქმედი ვულკანები ყოფილან. დღეს კი, როგორც ძნელად მისადგომი და საკვირველებად ცნობილი გიგანტური ქანდაკებები ისე გადაჰყურებენ არა მარტო ცენტრალურ კავკასიონს, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოს.

ვინ არ იცის დღეს სპორტის ურთულეს სახეობებში იმ მწვერვალთა სახელები, რომლებიც აგრეთვე შეეყინნენ მსოფლიო კულტურისა და სპორტის ისტორიას და დღესაც ისეთივე შეუვალია მათი სახელები, როგორიც უშბის, შხელდის, შხარას, თეთნულდისა და სხვა მრავალთა ურთულესი ტრასები.

ბექნუ ხერგიანი, გიო ნიგურიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკა ჩართოლანი, გოჩი ზურებიანი — ეს იმ ადამიანთა სახელებია, რომლებმაც ყოველგვარი სპორტული იარაღების გარეშე სანადირო „გაბუნდულებით“ (ტყავის ფეხსაცმელები) შეძლეს უმაღლესი მწვერვალების ურთულესი მარშრუტებით დალაშქვრა, სადაც არცთუ შორეულ წარსულში სვანებს თავიანთი ღმერთი უშბის წვერზე ეგონათ დაბრძანებული. სწორედ ეს გაბედული ბიჭები იყვნენ, რომლებმაც ჰიტლერის სვასტიკიანი დროშა ჯერ ნაკუწ-ნაკუწ აქციეს იალბუზის წვერზე, მერე კი ნაგლეჯები სოფელში ჩამოათრიეს.

წინაპართა ნატერფალები მუდმივ მყინვარებს რომ არ გადაეფარათ, ახალმა თაობამ „კლდის ვეფხვის“ მიშა ხერგიანის თამადობით ახალი კარაბინები დასვეს და ახალი საფეხურები ამოკაწრეს უშბის სარკეზე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო მეკლდეურთა, არამედ ადამიანის გაბედულებისა და სიმამაცის ისტორიაში.

მიშა ხერგიანთან ერთად კლდეზე გარბენის ჯადოსნურ ილეთებს აკეთებდნენ მისი მეგობრები: შალიკო მარგიანი, ჯუმბერ კახიანი, ჯოკია გუგავა, უმცროსი მიხეილ ხერგიანი და მათი მეწყვილე, ჯერ კიდევ ცოცხალ ლეგენდად დარჩენილი გივი წერედიანი.

როდესაც ამ მოგონებას ვწერ, თითქოს გიგანტურ კალეიდოსკოპში ვიხედები და ვუყურებ ფანტასტიკას შერწყმულს რეალობასთან. ჯადოქრობას — სინამდვილესთან.

ყოველივე ამის ცენტრში ვხედავ ჩადგმულ მოტორს, რომელიც ათასნაირი ღვედებით ამოძრავებდა ამ ურთულეს მექანიზმს, რომელიც ხან უშბის წვერიდან დაშვებულ მეტეორივით გიგანტური ნახტომებით ძირს უშვებდა მოთხილამურეს, ხანაც მძიმე ზურგჩანთებით, წრიაპებითა და ძალაყინებით შეიარაღებულ ახალგაზრდათა ჯგუფებს ურთულეს მწვერვალთა მიუვალი ბილიკებისკენ მიუძღვებოდა.

ამის შემოქმედი და მოძრაობაში მომყვანი ჩემი მეგობარი ნოფრე გვარლიანი გახლდათ. 88 წლის გულით ახალგაზრდა, მაგრამ ღმერთისგან და ახლობლებისგან ნაღალატევი რაინდი, მაინც არ გაბოროტებულა, ტრაგიკულად (ავტოავარიაში) დაღუპულმა მისმა დათუნამ გაანახევრა მისი სიცოცხლე, ხოლო შემდგომ შვილის უბედურებითა და მეუღლის დარდითა და ბოღმით განახევრებული ქმრის ყურებამ ბოლო მოუღო ნოფრეს უახლოეს ადამიანს და მის სულიერ მეგობარს ჩუტა ჯაფარიძეს. 88 წლის ბრძენი და ჭკუასაკითხავი ნოფრე გვარლიანი იხსენებდა მის პირველ ნაბიჯებს ცხოვრებაში, როდესაც იგი გივი ჯაფარიძესთან, შურა ჭელიძესთან და ამირან ზომბაიასთან ერთად, მის უპირველეს მეგობრებთან თბილისის საავიაციო სასწავლებელში წავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

ახალგაზრდულმა გატაცებამ კავკასიონის მთების მაღლიდან დახედვას, მაინც კავკასიონის ქედებზე ნიამორად ყოფნა არჩიეს და ფიზკულტურის ინსტიტუტში გადაინაცვლეს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ნოფრე გვარლიანი და გივი ჯაფარიძე, როგორც განუყრელი მეგობრები, მესტიაში დაბრუნდნენ და თავიანთი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე სვანეთში სპორტის განვითარებას შეალიეს თავიანთი ძალა და ენერგია.

ნოფრე გვარლიანი ჯერ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი სპორტკომიტეტი ჩააბარეს. 1975-1976 წლებში, როდესაც სვანეთში სხვადასხვა ქედებიდან და ტრასებიდან მხოლოდ მესტიაში ათასამდე ტურისტი შემოდიოდა დღე-ღამეში, ნოფრემ თავისი დიდი წინაპრის და მეცენატის მურზაყან ჯაფარიძის საქმე გააგრძელა და მესტიის სპორტული ბაზა ჩაიბარა, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი საყრდენი ბაზა გახადა სამთო სპორტში.

ნოფრე გვარლიანი მიშა ხერგიანის განუყრელი და უსაყვარლესი მეგობარი და მესაიდუმლე იყო. ძალზე ახარებდა მიშას ყოველი წარმატება და საქვეყნო აღიარება. იგი ერთნაირად ძმობდა და მეგობრობდა როგორც სპორტის ლეგენდებთან, ისე მის აღსაზრდელებთან, იმიტომაც იყო, რომ ნოფრე სვანეთში საერთაშორისო სახელად იქცა, რომელსაც გვარის მიყოლება არც კი სჭირდებოდა.

ჩვენ ერთი პერიოდის სტუდენტები ვიყავით ვაკის სტუდენტთა ქალაქიდან. უამრავი გასახსენებელი და ტკბილი მოგონება მაკავშირებს მასთან. ულამაზესი, ზრდილობიანი, რაინდი, თავისი ბუნებით ჭკუის დამრიგებელი კოლორიტი, ის მართლაც ახალგაზრდობიდანვე „მახვშად“ იყო დაბადებული და ასეთად დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

მენანება შენთან განშორება, ძმაო ნოფრე, მაგრამ მაიმედებს ის, რომ იქ უფრო ბევრი ახლობელი და საყვარელი მეგობარი გელოდება, მათ შორის შენი და ჩემი დათუნა.

შენი ძმა
გრიშა ონიანი.

სპარტაკ ქობულია, ალეკო ასლანიშვილი, ალექსანდრე შენგელია, გივი ბოჯგუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლის ასაკში გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი და კოლეგა, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი

როლანდ ჯალაღანია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, გაზეთ „ილორის“ თანამშრომლებს.

ნათელი დაადგეს როლანდ ჯალაღანიას სულს.

ფალიაშვილის ქუჩა 64-ის მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი მომღერლისა და საზოგადო მოღვაწის, უკეთილშობილესი ადამიანისა და მეგობრის

გიო ხუციშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის ყოფილ უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მარინა მუჩიაშვილს დედის

ნინო მუჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე, ქალბატონი

გულო ქენქაძე

იგი იყო თეორიული და პრაქტიკული ბიბლიოთეკათმცოდნეობის გამოცდილი სპეციალისტი. ათეული წლების განმავლობაში ენერგიულად, დიდი რუდუნებით ემსახურებოდა თავის საქმეს და სიყვარულით სარგებლობდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ენციკლოპედიის თანამშრომელთა შორის. მისი გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა და კეთილშობილება ყოველთვის მისაბაძი იყო.

წავიდა ჩვენგან ხალისიანი, ღიმილიანი და პოეტური სულის ქალბატონი, რაც დიდი დანაკლისია ენციკლოპედიის რედაქციისათვის.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლებისა და თანამშრომლების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე, დამსახურებული თანამშრომელი

გულო ქენქაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქუთაისში ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჯ.ლ. ქუთაისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული, 10 შეკვრად დაფასოებული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ ფხვნილი, ერთჯერად საინიექციო შპრიცში მოთავსებული „ბუპრენორფინის“ შემცველი სითხე და ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული — 2 720 ლარი ამოიღეს.

ჯ.ლ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ამოღებულია ასევე ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა — 250 ევრო და 100 ლარი.

ჯვრის მონასტერი – ქართული არქიტექტურის განსაკუთრებული ძეგლი



ევროპული სამაუწყებლო კომპანია EuroNews (შტაბბინა ლიონში, საფრანგეთი) აგრძელებს ვიდეოსიუჟეტების გადაცემას საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ტელეეთერში კლაუდიო როსმინოს ავტორობით 11 ივნისს გაშვებული ვიდეომასალის რეზიუმეს:

„ჯვრის მონასტრიდან, რომელიც ქალაქ მცხეთასთან, თბილისიდან ჩრდილოეთით, 24 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და VI საუკუნეშია აგებული, ზღაპრული ხედი იშლება. მონასტერი დიდი ხის ჯვრის ადგილზე აუშენებიათ, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, საქართველოში წმინდა ნინოს შემოუტანია. მის სახელთანაა დაკავშირებული ქვეყანაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება.

ჯვრის მონასტერი საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სალოცავი ადგილია. ის 1994 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. მონასტრის ასაგებად საოცრად მშვენიერი ადგილია შერჩეული – მთის მწვერვალი ორი მდინარის შეერთავთან.

მისი მშენებლობის დროს გამოყენებული ტექნოლოგია და საინჟინრო მეთოდები ქართველი ხუროთმოძღვრების მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს. საუკუნეებს გადარჩენილი ეკლესია არქიტექტურის ულამაზესი ნიმუშია, რომელიც საქართველოს სხვა ტაძრების აგების დროსაცაა გამოყენებული.

„ჯვრის მონასტერს, რამდენიმე მიზეზის გამო, საქართველოს ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, – ამბობს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი ბუბა კუდავა, – „ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მას უკავშირდება საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. გარდა ამისა, თქვენ თვითონვე შეგიძლიათ შეაფასოთ არქიტექტურის, ლანდშაფტისა და სულიერების ერთობლიობა“.

ჯვრის მონასტერი დღესაც მოქმედია. დიდი ზეიმების დროს აქ ღვთისმსახურებაც მიმდინარეობს ხოლმე“ – ნათქვამია სიუჟეტში.

„EURONEWS“

BMW კუბოს ნაცვლად

ნიგერიელმა გარდაცვლილი მამა კუბოს ნაცვლად ახალ ავტომობილ BMW-ში დამარხა. მდიდარმა შვილმა BMW 66 ათას ფუნტ სტერლინგად იყიდა. შვილი მამას სიცოცხლეში ჩქარი ავტომობილის ჩუქებას შეპირდა, მაგრამ ვერ მოასწრო, ამიტომ მამისთვის პატივის მიგების უჩვეულო გზას მიმართა.

ირანი ჩრდილოეთ კორეას აფრთხილებს

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩრდილოეთ კორეას აფრთხილებს, რომ ვაშინგტონს საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევა ახასიათებს.

Mehr-ის ინფორმაციით, ამის შესახებ ირანის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბაჰრამ კასემიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ამერიკის პოლიტიკას ოპტიმისტურად ვერ შევხედავთ, ბოლო დროინდელი შეთანხმებების დარღვევა ამის დასტურია“, – განაცხადა ირანელმა დიპლომატმა.

აშშ-ში მძევლად აყვანილი 4 ბავშვი გარდაცვლილი იპოვეს

ფლორიდას შტატში ქალაქ ორლანდოში მამაკაცმა 4 ბავშვი მძევლად აიყვანა, ერთი დღის შემდეგ ისინი გარდაცვლილები იპოვეს. ტელეკომპანია CNN-ის ინფორმაციით, ჰარი ლინდსმა, რომელიც დანაშაულისთვის პირობით სასჯელს იხდიდა, თავისი მეგობარი ქალის სახლში 4 ბავშვი მძევლად აიყვანა. ორი მათგანი მისი შვილი იყო, კიდევ 2 მეგობარი ქალის, რომელმაც ინციდენტამდე პოლიციაში დარეკა და ოჯახური ძალადობის შესახებ შეტყობინება დატოვა. ადგილზე მოსულ პოლიციელებს სახლში ჩაკეტილმა მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა, ერთი პოლიციელი დაიჭრა. მეორე დღეს პოლიციელებმა სახლში შესვლა მოახერხეს და მათ 4 ბავშვი, 1, 6,10 და 11 წლის, გარდაცვლილი დახვდათ, თავად დამნაშავემ კი თავი მოიკლა.

ქალური დეპრესიების სათავე

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცებთან შედარებით, დეპრესიას ქალები ორჯერ უფრო ხშირად უჩივიან.

საქმე ისაა, რომ ქალური ფსიქიკა ჰორმონალურ ცვალებადობასთანაა დაკავშირებული, ამიტომაც გუნების დათრგუნვის მოვლენები მათ ხშირად მშობიარობის შემდგომ, კლიმაქსის დროს, ასევე მენსტრუალური ციკლის წინ უვითარდებათ.

ქალბატონებში უფრო ხშირია შენიღბული დეპრესია, რომელიც მრავალრიცხოვანი სნეულებებითა და გაურკვეველი წარმომავლობის ტკივილებით გამოიხატება.

თავს თუ მშვიდად იგრძნობთ, აღარც სიგარეტი დაგჭირდებათ

ევროპელ მკვლევართა მიერ ჩატარებული დაკვირვებების შემდეგ გაირკვა, რომ ბანანი, ნუში და მაგარი ყველი ხელს უწყობენ... თამბაქოსთვის თავის დანებებას.

მეცნიერთა განცხადებით, აღნიშნული საკვები დიდი ოდენობით შეიცავენ ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ამინომჟავა ტრიპტოფანის სინთეზისთვისაა საჭირო, რომელიც ნერვულ სისტემას ამშვიდებს და განგაშის გრძნობას ანელებს.

ყველაფერი ამის შედეგი კი ისაა, რომ ორგანიზმს უმცირდება ნიკოტინური დამოკიდებულების დონე და თამბაქოს მომხმარებელს მოწევისთვის თავის დანებება გაცილებით უადვილდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ უეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4473; ევრო - 2.8832;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2674;
100 რუბლი - 3.9094; თურქული ლირა - 0.5407;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4446;
1000 სომხური დრამი - 5.0616.

ამინდი 13 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +28
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +32
თბილისი: ღამე +16, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge